# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 24 ივნისი, 2009 წელი.

№ 126 (6227)


**მკითხველთა საყურადღებოდ!**

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გადავიდა ახალ მისამართზე, იქვე ახლოს – გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) №19.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ლაჩრების შურისძიება

2



70-მილიონიან ირანში 100 000 მეამბოხე პრეზიდენტს „აზანზარებს“... 3,5-მილიონიან საქართველოში კი 200 000-იანი მიტინგი პრეზიდენტს ფეხებზე ჰკიდია!

## უკანონო პატიმრის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას

5



## ღია წერილი

### საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მართლმსაჯულება იოლად დაადგენს ჩემს სიმართლეს

## „თუ დასავლეთს სააკაშვილის შენარჩუნება სურს, მაშინ ის დარბევების მიმართ ნაკლებად კრიტიკული იქნება“

2

## დავით ნარმანია: საქართველოში ფინანსური კრიზისი გადამწყვეტ ფაზაში სწორედ ახლა შედის

3





## პაატა ქურდაძე: ჩვენი „სულიერი მისია“ მესაზღვრეობაა...

9

## ევროპელებმა გამანადგურებელი რეცენზია დაგვიწერეს

3

ვითარება

# „თუ დასავლეთს სააკაშვილის შენარჩუნება სურს, მაშინ ის დარბევების მიმართ ნაკლებად კრიტიკული იქნება“

**ბოლო დღეებში ოპოზიციის აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის არაერთი დაპირისპირება მოხდა. პოლიციისგან წინააღმდეგობა 12 ივნისიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ოპოზიციონერებმა პარლამენტის მუშაობის განახლებას კვერცხების სროლით, დეპუტატების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფით უპასუხეს. მას ოპოზიციის მისამართით დიპლომატიური კორპუსის კრიტიკული განცხადებები მოჰყვა. სწორედ ამ განცხადებებს უკავშირებს ოპოზიცია საკნების დარბევას სახელმწიფო უწყებებთან. რამდენად სწორია ოპოზიციის ეს განცხადება და რა როლი მიუძღვის დასავლეთს ხელისუფლების გააქტიურებაში? – ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**



**– ბატონო რამაზ, ბოლო დღეებში პოლიციასა და აქციების მონაწილეთა დაპირისპირების ფაქტები გახშირდა, რასაც ოპოზიცია ელჩების კრიტიკული განცხადებების საფუძველზე ხელისუფლების გათამამებად აფასებს. რამდენად სწორია ოპოზიციის შეფასება?**

– რეალურად, ეს რას უკავშირდება, არ ვიცი, მაგრამ ის, რაც დროში მიჰყვება ხოლმე ერთმანეთს, ამაზე ადამიანს უჩნდება მოსაზრება, რომ ერთი მიზეზია, მეორე შედეგი. როგორც კი, ელჩებმა დაუყოვნებლივ შეაფასეს პარლამენტთან მომხდარი ინციდენტი, როგორც დემოკრატიის შეურაცხყოფა, მეორე დღეს, დემოკრატიის დამცველად მოგვევლინა პოლიცია, რომელმაც გაუსწორა სახე ზურაბ აბაშიძეს. ეს ფაქტი ობიექტურად შეფასების საგანი სემნების გარდა, არავისთვის გამხდარა. აქედან გამომდინარე, ჩნდება აზრი, რომ ხელისუფლების ნაბიჯებს გარკვეული მხარდაჭერა აქვს დასავლეთის მხრიდან. დასავლეთი არის გადამწყვეტი ამ შემთხვევაში.

**– ელჩების შეფასება რამდენად ობიექტური იყო ფაქტის შეფასებისას?**

– ვერავინ იტყვის, რომ ელჩების შეფასება ობიექტურია. ელჩებს ქვის სროლაზე ჰქონდათ მკაცრი შეფასება და რეზინის ტყვიების სროლაზე – არანაირი. მაგრამ თუ უფრო დიდი მასშტაბით, მათი სახელმწიფოების პოლიტიკიდან გამომდინარე ვილაპარაკებთ, შეიძლება ეს შეფასებები გასაკვირიც არ იყოს.

**– რა შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა ვითარებამ, თუ კვლავ გაგრძელდება დარბევები?**

– თუ დასავლეთის ინტერესებში არის, რომ შეინარჩუნოს კიდევ გარკვეული ხნის განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლება, მაშინ ის ნაკლებად კრიტიკული იქნება ძალის გამოყენების შემთხვევაში, რაც გაახშირებს ძალის გამოყენებას და პროტესტის ძალისმიერ ჩახშობას.

**– ოპოზიციის ქმედება როგორი იქნება ასეთ შემთხვევაში?**

– ოპოზიცია, როგორც ვხედავთ, ცდილობს ერთი მხრივ, მხარდამჭერები იყოლიოს უცხოეთში, მეორე მხრივ კი – საქართველოს რეგიონებში და ამას გააგრძელებს.

**– თქვენი აზრით, რამდენად ახერხებს მხარდამჭერების პოვნას?**

– ჯერ არ ვიცი, სავარაუდოდ, ეს ნაბიჯები არსებითად მხოლოდ ახალ ძალებს თუ მოუტანს ოპოზიციას, თორემ სტრატეგიას არ შეუცვლის. ოპოზიციამ წესით, ისევ უნდა გააგრძელოს მშვიდობიანი პროტესტის სახით პოლიტიკური ბრძოლა. სავარაუდოა, რომ ასეთ შემთხვევაში ოპოზიციას მეტი მხარდამჭერი ეყოლება, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

საკვირაო მიმოხილვა

# ლაჩრების შურისძიება

**ამჯერად ოდნავ გადავუხვევ ტრადიციას და დღევანდელ მიმოხილვას ჩვენს ისტორიულ მეზობელ და კეთილ მეგობარ ირანში განვითარებული მოვლენებით დავიწყებ.**

## სწორება ირანულ დემოკრატიაზე

**12 ივნისს, იავმ ალ-ჯუმას (პარასკევს) ირანში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა.** წინასწარი მონაცემებით, მეორე დღესვე ცნობილი გახდა, რომ მოქმედმა პრეზიდენტმა, ხალხიდან გამოსულმა პოპულისტმა აჰმედინეჯადიმ ხმების ორი მესამედით გაიმარჯვა. იმ დღიდან მოყოლებული, თეირანი შეძრა მრისხანე საპროტესტო გამოსვლებმა. მსოფლიოს ყველა სერიოზული მედიასაშუალება დაწვრილებით აშუქებს ირანის დედაქალაქში განვითარებულ მოვლენებს – არჩევნების არაობიექტურობით აღშფოთებულმა ასი ათასმა პროტესტანტმა თავის გზაზე ქვა ქვაზე არ დატოვა. დაიღუპა რვა და დაშავდა ასობით ადამიანი. განადგურდა სავაჭრო ობიექტები, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, ავტომობილები...

გამარჯვებული პრეზიდენტი დათმობაზე წავიდა – ხმების ხელახალი გადათვლა ბრძანა. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, შესაძლოა, ახალი საპრეზიდენტო არჩევნებიც კი გაიმართოს.

შეგახსენებთ, რომ ირანის მოსახლეობა 70 მილიონს აღწევს, ხოლო საკუთრივ დედაქალაქ თეირანში 12 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს.

საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4,5 მილიონია, ხოლო თბილისში 1,5 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს.

ასი ათასი პროტესტანტის გამოსვლა 12 მილიონიან მეგაპოლისში, მთელი მსოფლიოს აღიარებით, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მილიონნახევრიან თბილისში კი ორასი ათასი პროტესტანტის გამოსვლა – დემოკრატიის ერთი ჩვეულებრივი ატრიბუტია და მეტი არაფერი!

## წამქეზებლები

**ალბათ გახსოვთ, რომ ჩეხეთის და საფრანგეთის ელჩებმა საჯაროდ დაგმეს ქართველი მოპიკეტეების მოქმედება გასულ სამშაბათს.** აღნიშნეს, რომ წყლის შესხმა, კვერცხების და ქვების სროლა არ შეესაბამება დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს ((ჩემი მხრივ, შემიძლია დავუმატო, რომ პოლიტიკური ოპონენტების დედ-მამის სულის გადმოტრიალებაც ვერ უნდა იყოს მაინცდამაინც დამაჯერებელი არგუმენტი): აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა ქართული ოპოზიციის ერთი ჯგუფის ქმედება „წითელი ხაზის გადალახვად“ შეაფასა.

იხ. 4 გვ.



ვაკის პარკში

# სამამულო ომის დაწყების წლისთავი ვეტერანებმა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან აღნიშნეს



22 ივნისი დიდი სამამულო ომის **დაწყების დღეა. წლეულს 68 წელი შესრულდებოდა ომის დაწყებიდან. ეს თარიღი ქართველმა ომის ვეტერანებმა ვაკის პარკში აღნიშნეს, სადაც კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. ვეტერანები წმიდა სამების ეკლესიის მოძღვარმა მამა იაკობმა დალოცა და მათ დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვა.**

– ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამ ადამიანების დაფასება და სიყვარული, რადგან მათ უამრავი ტკივილი განიცადეს. თავი მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე. ამიტომ მივედით დღეს აქ. დავლოცე ჩვენი ვეტერანები. ღმერთი ფარავდეს და დიდხანს აცოცხლოს თითოეული მათგანი.

**ელვერ კუპატაძე, საქართველოს ვეტერანთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:**

– დღეს 68 წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, რაც გერმანიასთან ომში ყოფილი საბჭოთა კავშირი ჩაერთო. ჩვენ ბევრი ტანჯვა გამოვიარეთ, ჩვენი სამშობლოსთვის ვიბრძოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ის არავის ახსოვს. ბევრი ვეტერანი იმის გამო გარდაიცვალა, რომ წამლის ფული არ ჰქონდა. ჩვენი შეღავათები მხოლოდ ის არის, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ფულს არ ვიხდით.

**მოსე მდინარაძე, თბილისის ვეტერანთა საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე:**

– ეს დღე სევდანარევი სიხარულის დღეა. 68 წლის განმავლობაში ბევრი მეომარი მოგვაკლდა, რომლებიც ფრონტზე ჩვენს გვერდით იბრძოდნენ. დღეს არა მარტო დიდ სამამულო ომში დაღუპულებს მივაგებთ პატივს, არამედ მათაც, ვინც ომის შემდგომ გარდაიცვალა. ცოცხლებს ერთმანეთის ნახვა გვახარებს. იმედი მაქვს და უფალს ვთხოვ, დიდხანს აცოცხლოს ჩვენი სახელოვანი ვეტერანები. ვისურვებდი უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდეს მათი პრობლემების მოგვარებას, რომელიც საკმარისად არის დაგროვებული.

დღეის მონაცემებით საქართველოში 11 ათასზე მეტი ომის ვეტერანი ცხოვრობს, აქედან 2500-მდე თბილისში. სამწუხაროდ, მათ ნამდვილად არ ექცევათ სათანადო ყურადღება. უმეტესწილად არ სარგებლობენ სოციალური შეღავათებით, რაც ზრდის იმის საშიშროებას, რომ მათი რიცხვი მოსალოდნელზე ადრე შემცირდება. ომის ვეტერანები დახმარებას ითხოვენ, დახმარებას, რომელიც ეკუთვნით და ნამდვილად სჭირდებათ.

**ანა წიწილაშვილი**

პროგნოზი

*გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდინა. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ამ კრიზისიდან თანდათანობით გამოსვლის ტენდენცია შეიმჩნევა. ამ თვალსაზრისით რა ვითარებაა შექმნილი საქართველოში, სადაც ფინანსურ კრიზისს შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებიც ემატება? ამასთან, ექსპერტთა მოსაზრებითვე, ეს რისკები ჯერჯერობით საკმაოდ მაღალია. ამ საკითხებზე „მედიანიუსი“ ესაუბრა კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს დავით ნარმანიას.*

# დავით ნარმანია: საქართველოში ფინანსური კრიზისი გადამწყვეტ ფაზაში სწორედ ახლა შედის



**— ბატონო დავით, უპირველესად, რა ეტაპზეა ფინანსური კრიზისი საქართველოში? ექსპერტების ნაწილი საუბრობს, რომ დასავლეთის ქვეყნებმა ამ კრიზისის დაძლევა ნელ-ნელა უკვე დაიწყეს...**

— დასავლეთის ქვეყნებში კრიზისის დაძლევაზე ლაპარაკი ნაადრევია. თუ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათ შორის, საერთაშორისო ბირჟების მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ამ მხრივ რეალური ოპტიმიზმის საფუძველი არ არსებობს. აღნიშნული მაჩვენებლები, წინა მაჩვენებლებისგან განსხვავებით, უმნიშვნელოდ არის „გამოცოცხლებული“. საერთაშორისო ანალიტიკოსების, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროგნოზით, გლობალური საფინანსო კრიზისის გარკვეული ნაწილი წინ არის და მისი სტაბილიზაცია მხოლოდ 2010 წლის ბოლოსთვის დაიწყება. ამდენად, კრიზისიდან გამოსვლის დაწყება დროებითი მოვლენაა.

**— რაც შეეხება საქართველოს?**

— საქართველოში ფინანსური კრიზისი გადამწყვეტ ფაზაში სწორედ ახლა შედის. კრიზისის ძირითადმა ტალღამ საქართველოს უკვე გადაუარა. ამან მარტი-აპრილის პერიოდში ქვეყანაზე სერიოზული უარყოფითი გავლენა უკვე მოახდინა. კრიზისის მეორე ტალღა შემოდგომაზე არის მოსალოდნელი. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ძალიან სამწუხარო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდებით, უპირველესად, წელს უპრეცედენტოდ დაბალი იქნება მთლიანი შიდა პროდუქტის, საგადასახადო შემოსავლების მობილიზების, ქვეყანაში შემოსული ინვესტიციებისა და ბიზნესაქტივობის მაჩვენებლები. ამის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზრდება უმუშევართა რიცხვი. გასათვალისწინებელია, რომ ფინანსური კრიზისი აზიის ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენს პარტნიორებშიც, უკვე ძალიან აქტიურ ფაზაში შედის. ეს გარემოებაც უარყოფითად იმოქმედებს, რაც ქვეყანაში სწორედ შემოდგომისთვის აისახება.

**— ხელისუფლების ოპონენტები ხშირად შენიშნავენ, რომ დამდეგ შემოდგომაზე სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებების შესრულება ძალიან გაუჭირდება...**

— არა მგონია, ხელფასებისა და პენსიების გასტუმრებაში პრობლემები შეიქმნას, რადგან ასეთ დონეზეც არ ვიქნებით დაცემული. ხელისუფლება სოციალური ვალდებულებების დასაფინანსებლად 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობის საერთაშორისო დახმარებისა და კრედიტების ნაწილს იყენებს, თუმცა, ეს არასასურველი მომენტია, რადგან აღნიშნული თანხა საფინანსო სექტორის სტაბილურობას, რუსული სამხედრო აგრესიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენასა და ა.შ. სამუშაოებს უნდა მოხმარებოდა. ამის ნაცვლად კი, ხსენებული თანხა მიმდინარე ვალდებულებების დაფინანსებას ხმარდება.

ამასთან, 4,5 მილიარდი დოლარიდან 2,5 დოლარი ქვეყნის საგარეო ვალია. საქართველოს მთავრობამ კომერციული ბანკებიდან შიდა ვალის აღებაც დაიწყო, რომელთა გასტუმრების ვადაც სწორედ საშემოდგომო პერიოდს ემთხვევა.

**— შექმნილ ვითარებაში ლარის კურსის შენარჩუნება როგორ მოხერხდება?**



— ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა გამიჭირდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობას, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ლარის კურსის სტაბილურობისათვის იყენებს, ამ მხრივ, ჯერჯერობით პრობლემა არ შეიქმნება. საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობა გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

**— და ბოლოს, დაახლოებით რა რაოდენობის უცხოური ინვესტიციებს უნდა ველოდოთ საქართველოში მიმდინარე წლის ბოლოსთვის?**

— ინვესტიციების მოცულობა 2004-2005 წლებში შემოსული ინვესტიციების მოცულობას გაუტოლდება. კერძოდ, იმ პერიოდში ყოველკვარტალურად დაახლოებით 100 მილიონი დოლარის ინვესტიციის შემოსავალზე იყო ლაპარაკი. ეს კი, საინვესტიციო აქტივობის თვალსაზრისით, არც ისე სახარბიელო მაჩვენებელი იქნება.

თავისუფალი მედია

# ევროპელებმა გამანადგურებელი რეცენზია დაგვიწერეს

**ევროპიდან დაბრუნებული, დასავლურ დემოკრატიას ნაზიარები სამართალმცოდნე მინდია უგრეხელიძე „თავისუფალი აზრის სახლში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დარბაზს ჩაუდგა სათავეში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში, ამიტომაც ის პირველი სასაუბრო თემით სწორედ გამოხატვის თავისუფლებას შეეხო.**

გავეცანი საქართველოში არსებულ ვითარებას და ბევრი რამაა გასაკეთებელი იმისთვის, რომ ჟურნალისტიკა განვითარდეს. ის, რაც ხდება, ეს არ არის ჩვენი ბრალი, არამედ ეს არის ჩვენი უბედურება, — აღნიშნა მინდია უგრეხელიძემ, რომელმაც არაერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ დღეს პრესა ბევრად თავისუფალია, ვიდრე ტელევიზია, თუმცა კი ამ უკანასკნელს უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებაზე, ვიდრე ჟურნალ-გაზეთებს.

დისკუსიაზე მიწვეული იყვნენ მედიის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, სამართალმცოდნეები, რომლებმაც ასევე აღნიშნეს, რომ მეოთხე ხელისუფლება — უნდა იყოს შეუზღუდავი ხელისუფლება. გამოხატვის თავისუფლება ეს არის პიროვნების თვითრეალიზების საშუალება და ასევე, მისი მთავარი, საჯარო ფუნქციაა ჭეშმარიტების დადგენა, დებატებისა და კამათის გზით.

თუ რა ხდება მედიის თავისუფლების თვალსაზრისით საქართველოში, ამის ასახსნელად დარბაზის ხელმძღვანელმა ბოლო არჩევნების მაგალითი მოიშველია: **„ევროპაში ვეცნობოდი, თუ რა იწერებოდა ამ არჩევნების შესახებ პრესაში, ეს იყო სოდომი და გომორა. თუნდაც ამის გამო არ შეიძლებოდა არჩევნების ლეგიტიმაცია. ამ დროს მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო, რას ამბობდა ტელევიზია. სამწუხაროდ, ის მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციას გვაწვდიდა“.**

პრესის თავისუფლება ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ხშირად ხდებოდა საერთაშორისო კრიტიკის ობიექტი. „თავისუფლების ინსტიტუტიც“ ბოკერია-რამიშვილის თაოსნობით იმის გამო ბობოქრობდნენ, რომ სხვა ქვეყნებს შორის საქართველო 52-ე ადგილს იკავებდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თავისუფლების ხარისხი კიდევ უფრო დაბალი გახდა და ამჯერად 147-ე ადგილზე გადავინაცვლეთ. საუბედუროდ, სწორედ რომ „თავისუფლების ინსტიტუტში“ დაფრთიანებული ახალი თაობის ხელშეწყობით.

საქართველოში აზრის გამოხატვის შესახებ კანონი გვაქვს, რომელსაც ჟურნალისტის სამაგიდო წიგნსაც უწოდებენ, თუმცა ამ კანონს ბატონი მინდია ერთობ სკეპტიკურად უყურებს. ის ამბობს, რომ **„ეს ყველაზე განუჭვრეტადი კანონია და ვერ გაიგებ, საერთოდ რაზეა ლაპარაკი. გერმანიაში ამ კანონზე გამანადგურებელი რეცენზია დაიწერა. რომ გავიკითხე, „თავისუფლების ინსტიტუტში“ დაუწერიათ, გრანტი იყო გამოყოფილიო.**

**დავიწყე ძიება. ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მითხრეს, ნამდვილად ჩვენი ხელმძღვანელობით შემუშავდაო. შემთხვევით ჯგუფის ხელმძღვანელს დავუახლოვდი, მეზობლად ვცხოვრობდი. ერთხელ ხუმრობით შევაპარე, ასეთი კანონი რამ დაგაწერინა-მეთქი. ნახა და გაიკვირვა, არა, ეს მე არ დამიწერიაო. ისე ანერვიულდა, ალბათ, ეგონა, ვუჩივლებდი. ექსპერტების ორი დასკვნა წარმომიდგინა. შევადარე ჩვენი კანონი და მათი დასკვნა. ვფიქრობ, ან თარგმნისას ვერ გაიგეს, ან გაიგეს, მაგრამ შეგნებულად დაამახინჯეს“,** — ამბობს ბატონი მინდია.

ამ კანონის ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს **ევა გოცირიძის** წიგნი **„გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში“,** რომელიც სულ ახლახან გამოიცა და რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით მომზადდა.

„თავისუფალი აზრის სახლში“ ამ წიგნის პრეზენტაციაც მოეწყო. წიგნი უდავოდ კარგ სამსახურს გაუწევს ჟურნალისტებს, თუკი გაითვალისწინებენ (ან გაათვალისწინებინებენ) მუშაობის პროცესში ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს, რომელიც კონვენციის ცენტრალური ელემენტია. ის ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უფლებას, ანუ ჟურნალისტის თუ ნებისმიერი სრულფასოვანი მოქალაქის შეუვალ უფლებას შეეხება. მაგრამ იქვე, არანაკლები ყურადღება ექცევა სიტყვის თავისუფლების მკაცრ, თუმცა ამავე დროს კანონიერ შეზღუდვას. ეს მაშინ, როცა ადამიანი ბოროტად იყენებს ამას.

საზოგადოებრივი დარბაზის ხელმძღვანელმა ევა გოცირიძის წიგნი დადებითად შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ ამიერიდან „თავისუფალი აზრის სახლში“ გამოხატვის თავისუფლებაზე არა მხოლოდ კრიტიკული, არამედ პოზიტიური შეხედულებები და შეფასებებიც გამოითქმევა.

**თეა მოსია**

უპრეცედენტო შემთხვევა

# უმაღლესი ჯილდო შიდსის ქართულ ცენტრს მიენიჭა

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აღმასრულებელმა საბჭომ საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრს, როგორც საუკეთესო ინფექციური პროფილის დაწესებულებას, მიენიჭა Dv. LEE Jong-wook-ის 2009 წლის მემორიალური პრემია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგში. ეს ფაქტი სამედიცინო საზოგადოებამ სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში“ აღნიშნა.**

შიდსის სამეცნიერო ცენტრს დიდი აღიარება მიულოცა საქართველოს პირველმა ლედიმ **სანდრა ელიზაბეტ რულოვსმა.** მან აღნიშნა, რომ ჟენევაში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ასამბლეამ 58 ქვეყანას შორის უპირატესობა სწორედ საქართველოს მიანიჭა და უმაღლესი პრიზით დააჯილდოვა.

საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა **თენგიზ ცერცვაძემ** ილაპარაკა იმ ტრადიციებსა და მიღწევებზე, რამაც განაპირობა ჯილდოს გადაცემა. მისი თქმით, ეს ახალი პრემიაა და უკავშირდება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის დოქტორ ლიის სახელს. დირექტორის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა მისი სახელობის საქველმოქმედო ფონდი, რომელმაც დააწესა ხსენებული მემორიალური პრემია და ფულადი ჯილდო 85 ათასი აშშ დოლარი. ეს პრემია ენიჭებათ პიროვნებებს ან დაწესებულებებს მედიცინის დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის (სამეცნიერო კვლევები, პრაქტიკული საქმიანობა).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ წლეულს დაწესებულ 5 პრემიას შორის დოქტორ ლიის სახელობის მემორიალური პრემია ყველაზე მაღალი ჯილდო იყო, რომელიც საქართველოს ერგო. ბატონი თენგიზ ცერცვაძის თქმით, **ეს პრემია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არც ერთ სამედიცინო დაწესებულებას არ მიუღია. ნობელის პრემიის შემდეგ ის რანგით მეორე პრემიაა მსოფლიოში.**



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **ალექსანდრე კვიტაშვილმა** საამაყო და სასიხარულო უწოდა ამ ჯილდოს. ამავე ფორუმზე კიდევ ერთი პრემია მიუღია საქართველოს რესპირატორთა ასოციაციას. ერთი ქვეყნიდან ერთ წელს ზედიზედ ორი ორგანიზაციის წარმატება არავის რგებია წილად და ეს უპრეცედენტო შემთხვევააო, — დასძინა მინისტრმა.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ **ოთარ თოიძემ** ქართველ მედიკოსთა კიდევ ერთ წარმატებას გაუსვა ხაზი — თებერვალში ევროკავშირის ჯილდო „სიბრძნის მარგალიტი“ მიენიჭა საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამას, რომელსაც სანდრა რულოვსის პატრონატით ახორციელებს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი, პროფესორი რემა ღვამიჩავა და თბილისის მერია.

სიტყვით გამოვიდნენ: აკადემიკოსი **ეთერ ბოცვაძე,** შიდსის ცენტრის სამედიცინო დირექტორი **მარინე ეზუგბაია.**

„ქორთიარდ-მარიოტში“ შეკრებილთ შიდსის ცენტრის დირექტორმა **თენგიზ ცერცვაძემ** გააცნო Dv. LEE Jong-wook-ის მემორიალური პრემიის შესარჩევი კომიტეტის დასკვნა, სადაც ჩაწერილია, რომ ცენტრი ახორციელებს პიონერულ (ნოვატორულ) საქმიანობას შიდსისა და ვირუსული ჰეპატიტების სფეროში, განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევაში, მკურნალობის პრევენციისა და კონტროლის საკითხებში. მან უზრუნველყო ქვეყანაში ანტირეტროვირუსული მკურნალობისა და გადაცემის პროფილაქტიკის უნივერსალური ხელმისაწვდომობა.

ცენტრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოში ბიოსამედიცინო კვლევითი პოტენციალის განვითარების საქმეში.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## საკვირაო მიმოხილვა

(მეორე გვერდიდან)

# ლაჩრების შურისძიება

ჩვენი „მეგობრების“ ამ განცხადებებს თითქმის მყისიერად მოჰყვა ჩვენი ხელისუფლების უტიფარი გამოხმაურება — თბილისის შს მთავარ სამმართველოსთან გამართული ყოვლად მშვიდობიანი მიტინგის უსასტიკესი დარბევა, ერთ-ერთ ოპოზიციონერ ლიდერზე (ზურაბ აბაშიძეძ მხეცური ანგარიშსწორება, ჟურნალისტების ცემა, მათთვის აპარატურის წართმევა და ვიდეომასალის განადგურება.

ქართული ხელისუფლების ამ უკანონო, უგუნურ და არაადამიანურ ქმედებას წამქეზებლების („მეგობრებს“ ვგულისხმობძ მხრიდან რაიმე სერიოზული განცხადება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, მოჰყვა ჩვენი პოლიციის თარეში — მასობრივი დაპატიმრებების და რბევების ახალი ტალღა.

მოგვიანებით, პოლიციის პრიმადონა ეკა ზღულაძემ (შს მინისტრის მოადგილეძ ბოდიში მოიხადა და ისიც კი თქვა, დამნაშავე პოლიციელები დაისჯებიანო. რა თქმა უნდა, არავინაც არ დაისჯება და ამ ხელისუფლების ხელში ვერც იმას შევიტყობთ, ვინ გასცა ასიოდე ყოვლად მშვიდობიან მომიტინგეზე სამასი პოლიციელის თავდასხმის ბრძანება.



ნაცმოძრაობის ახალი გენერაციის იდეოლოგები გასულ კვირაშიც ძველებური სიჯიუტით მოგვიწოდებდნენ, რომ „დღეს არ არის გათიშულობის, ურთიერთდაპირისპირების დრო. დღეს, როგორც არასდროს (ღმერთო, დამიფარე დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილისგან) საჭიროა ერთად დგომა“.

ვერ გეტყვით, რისი იმედი აქვთ ინტელექტუალ ბატონებს და ქალბატონებს უმრავლესობის ბანაკიდან, პირადად მე კი პატიოსნებისა (გონიერების, პატრიოტიზმის, ღვთისმოშიშობისძ და ძალმომრეობის (სიცრუის, ფარისევლობის, მუცლილორობისძ რაიმე ნიშნით „ერთად დგომა“ შეუძლებლად მიმაჩნია.

### „ყველაფერი არის ძლიერ კარგად“

**ხომ გახსოვთ, ოც წელზე მეტი ხნის წინათ და მერეც, რა მწარედ აკრიტიკებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. ბატონი ედუარდი გაეროს პირდაპირ ადანაშაულებდა უმოქმედობაში, მოუქნელობაში, ფარისევლობასა და ბიუროკრატიზმში.**

დღეს გაეროს ერთ-ერთ კრიტიკოსად ბატონი სააკაშვილი მოგვევლინა. ოღონდ, ერთი მცირე განსხვავებით — მსოფლიო პოლიტიკურ ბირჟაზე შევარდნაძის სიტყვა ძვირად ფასობდა, ბატონი სააკაშვილის სიტყვა მარტვილის ბაზარზეც კონა ორი შაურია (იმას ვამბობ, არავის არ სჯერა-მეთქი, თორემ საკუთარი ხალხისადმი მისი მუქარები არ სრულდება-მეთქი, ამის სათქმელად ენა არ მომიბრუნდებაძ. უმადურობა რომ არ დამწამონ, შეგახსენებთ მხოლოდ ბოლო დროს საქართველოს პრეზიდენტის სარდლობით მოპოვებული „გამარჯვებების“ მოკლე ნუსხას:

— ვერ მივიღეთ მაპი;

— ვერ მივუახლოვდით ნატოს;

— წავაგეთ ომი რუსეთთან;

— დავკარგეთ ახალგორის რაიონი;

— დავკარგეთ ეუთო;

— დავკარგეთ გაერო;

— დავკარგეთ კოდორის ხეობა;

— დავკარგეთ კონტროლი ენგურზე;

— დავკარგეთ საერთაშორისო ავტორიტეტი;

— დავკარგეთ გასაღების ბაზარი რუსეთის სახით;

— მოვიპოვეთ პოლიტიკოსი ეკა ხერხეულიძე;

— მოვიპოვეთ მასაჟისტი დოქტორი დოტი...

გამარჯვებათა ამ კასკადის გამოა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ახალი გამარჯვებებისკენ, ანუ საკუთარი ხალხის წელში გატეხვისკენ ილტვის. თანამოაზრეებიც ჰყავს — პარლამენტის უმაქნისი უმრავლესობა, პოლიციის ნაწილი და სპეცრაზმები. სამწუხაროდ, არ ჰყავს მრჩეველი და დამრიგებელი, ვინც აუხსნიდა, რომ საცაა, სტიქია ჯებირს გაარღვევს და წლების განმავლობაში წვეთობით ნაგროვები უკმაყოფილების ზვავი თავის გზაზე ყველაფერს წალეკავს; რომ საქართველოში დღესაც ძველებურად ძვირად ფასობს ვაჟკაცობაც და სილაჩრეც; რომ პოლიტიკური ოპონენტების სასტიკი დარბევები, ისეთი, რაც გასულ კვირაში, კერძოდ, 15 და 18 მაისს მოხდა პოლიციის სამმართველოსთან და პრეზიდენტის რეზიდენციასთან, არის ლაჩრების შურისძიება მოაზროვნე ქართველ საზოგადოებაზე.

კიდევ გავიმეორებ — თავისი ქმედებებით ხელისუფლება თვითონ უკიდურესად ამწვავებს საზოგადოების უკმაყოფილებას და უბიძგებს მას ახალი რევოლუციისკენ.

### ხიდჩატეხილობა

**გასულ კვირაში ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ახალი დაპირისპირების საგნად იქცა ხიდის აფეთქება ზემო რაჭაში, მამისონის უღელტეხილისკენ მიმავალ გზაზე.** ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეს არ არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი მოვლენა. ოპოზიცია პირიქით — ხიდის აფეთქებაში საქართველოს კიდევ ერთი რეგიონის რუსეთისთვის გადაცემის მცდელობას ხედავს და ხელისუფლებას სამშობლოს ღალატში ადანაშაულებს. შემთხვევის ადგილს ესტუმრა ცნობილი პოლიტიკოსი პაატა დავითაია, რომლის ოპოზიციონერობისა ჯონდი ბაღათურიასაც კი არ სჯერა. უახლოეს მომავალში რაჭას ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი და „არასამთავრობოების“ ნაკრები გუნდიც ესტუმრება — ვითარების ადგილზე გასარკვევად, რასაკვირველია. ამავე დროს, სულ უფრო დაჟინებით ვრცელდება ხმები, რომ კოდორის და ახალგორის ბედი ელის სტეფანწმინდის (ყაზბეგისძ რეგიონსაც. არ არის გამორიცხული — რუსეთი უეჭველად ისარგებლებს საკუთარ ხალხთან ბრძოლაში გართული ქართული ხელისუფლების უნიათობით და უყურადღებობით.

საქართველოს თითქოს ბუნებაც სჯის — გასულ კვირაში საქართველოს რამდენიმე რეგიონს აღმოსავლეთ საქართველოშიც და დასავლეთშიც, სტიქიური უბედურებები დაატყდა თავს. როგორც ჩანს საქართველოს ღმერთისკენ მიმავალი ხიდიც ჩაუტყდა, ან ეშმაკებმა ააფეთქეს და ხიდის ბურჯები წყალმა ალმა წაიღო!

### ბლეფი

**ხელისუფლების შეთავაზებები დიალოგისკენ, თანამშრომლობისკენ, ერთობისკენ ბლეფი რომ იყო, ამას ფრანგული დიპლომატიის ტრადიციებზე აღზრდილმა სალომე ზურაბიშვილმა ძალიან იოლად ახადა ფარდა — შს მინისტრის მოადგილეობას დათანმხდა**. ხელისუფლება აფორიაქდა — თურმე, შს მინისტრის მოადგილე არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, არ უნდა გამოდიოდეს მიტინგებზე, არ უნდა მონაწილეობდეს დებატებში, უნდა შეეძლოს მაუზერის ტრიალი, უნდა ატარებდეს ნაწნავებს და უნდა იყოს ქალწული.

მინისტრობაზე პირობები კიდევ უფრო მძიმეა, ისე მძიმე, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა და, კერძოდ, ქალბატონმა სალომემ, პრეზიდენტის ცინიკური განცხადებით, ამაზე შეიძლება მხოლოდ „მეორე ცხოვრებაში“ იოცნებონ.

ერთ პატარა ექსპერიმენტს მეც შემოგთავაზებთ. ბატონო პრეზიდენტო, მაქვს პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში მუშაობის 23-წლიანი სტაჟი. პარალელურად, 15 წელიწადია ვეწევი პედაგოგიურ მოღვაწეობას (ვარ თბილისის IB ევროკავკასიური უნივერსიტეტის პროფესორიძ. არასოდეს არ ვყოფილვარ და არ ვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი ან თანამგრძნობი. არ გამოვდივარ მიტინგებზე და არ ვმონაწილეობ საჯარო პოლიტიკურ დებატებში...

დამნიშნეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის გენერალურ დირექტორად და პირველი არხის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ!

გპირდებით, ყველა ღონით ვეცდები, თქვენც და საქართველოსაც ავაცილო ახალი სოციალური რევოლუციის კოშმარი, არ შევიდე ლეიბორისტულ პარტიაში და არ ვიმღერო არიები იტალიური ოპერებიდან.

ველოდები პასუხს ერთი კვირის განმავლობაში.

პატივისცემით,
**თეიმურაზ ძორიძე**

## წკეპლიკა

# ყავლგასული „ჩვენება“

**„ხომ ვიყავი ხელისუფლებაში და მახსოვს, რას ლაპარაკობდნენ ხელისუფლების შიგნით, როცა ერთმანეთს 2007 წლის ნოემბერში აქციების დარბევისაკენ მოუწოდებდნენ — ჭკუა უნდა ვასწავლოთ, შევაშინოთ, ერთხელ და სამუდამოდ მოვსვათ ეს ხალხი თავის ადგილზეო!“** — გვიცხადებს „ყველა სიახლის“ ფურცლებიდან ნინო ბურჯანაძე ძლიერთა ამა უბედური ქვეყნისა „ჩაშვებითა“ თუ „დაბეზღებით“.

ეჰ, ქალბატონო ნინო! ხელისუფლებაში და მის ცენტრში რომ იყავით და ყველაფერი იცოდით და დღესაც გახსოვთ, ეს ამბები სწორედ მაშინ, 2007-ის ნოემბერში უნდა გაგეხმიანებინათ, სამზეოზე, საჯაროზე მაშინ უნდა გამოგეტანათ და აღშფოთებული, გადამდგარიყავით კიდევაც! სულ სხვა ფასი და ეფექტი ექნებოდა ამას **მ ა შ ი ნ!**

არადა (მეც მახსოვს რაღაცეებიძ **მაშინ** თქვენ რამდენიმე ხელისუფალთან ერთად გვარწმუნებდით, რომ ჩვენ თურმე არ ვიცით, რას გადაურჩა საქართველო...

მართლაც რომ დრონი შ ე ფ ო ბ ე ნ...

**თამაზ ებანოიძე**

## შეხვედრა

# გალაკტიონის ჟურნალისტური მოღვაწეობა



**ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დარბაზში გაიმართა შეხვედრა პროფესორ ნოდარ ტაბიძესთან. მან ისაუბრა გალაკტიონის ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე ქართულ პრესაში.**

ბატონი ნოდარის თქმით, გალაკტიონს პრესა არა მხოლოდ სინამდვილის ამსახველად მიაჩნდა, არამედ საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და ცხოვრებაზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებად. მგოსანი მრავალ პერიოდულ გამოცემაში თანამშრომლობდა. რამდენიმე გაზეთის შტატიანი მუშაკიც იყო. რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს“.

ჯერ კიდევ თბილისის სემინარიის მოსწავლემ, 1908 წელს ხელნაწერი ჟურნალი დააარსა. ხოლო 1920 წელს გალაკტიონი ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელია. „მას ღრმად სწამს, რომ გვარდია უდიდეს საქმეს აკეთებს და ამიტომაც გულდაგულ იღვწის მისი ჟურნალის სრულყოფისათვის...

გალაკტიონის თანამშრომლობა „სახალხო გვარდიაში“ იმის დასტურია, რომ მგოსანი დამოუკიდებელი საქართველოს ერთგული ჯარისკაცია“, — აღნიშნა ნოდარ ტაბიძემ.

მან ყურადღება გაამახვილა მეორე მსოფლიო ომის დროს გალაკტიონის ჟურნალისტურ მოღვაწეობაზეც გაზეთ „კომუნისტში“. იგი სიკვდილამდე იყო ჟურნალისტიკისათვის თავდადებულიო, — აღნიშნა ბატონმა ნოდარმა: „ჩვენს ოჯახში ილიას კულტი მეფობდა. ახლაც ნახავთ გალაკტიონის მიერ შენახულ „ივერიისა“ და „კვალის“ ნომრებს“.

ერთხანს მგოსანს საოჯახო ჟურნალის გამოცემა სდომებია. ლექსიც კი მიუძღვნა ძმისწულს — ნოდარ ტაბიძეს. მაგრამ შემდეგ ამ პოეტურმა აღმაფრენამ გაუარა.

მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარემ ლია ნადარეიშვილმა მადლობა გადაუხადა ნოდარ ტაბიძეს საინტერესო საუბრისათვის და გალაკტიონ ტაბიძის პრემია მიულოცა.

შეხვედრის ერთ-ერთმა ინიციატორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა მარიკა კალანდაძემ ხაზი გაუსვა ასეთი სალამოების მნიშვნელობას მომავალი თაობის აღზრდაში. როცა ჩვენი ახალგაზრდობა წიგნს ნაკლებად კითხულობს, მსგავსი შეხვედრები მათი სულიერების დახვეწას ემსახურებაო. ეს შეხვედრა ამითაც იყო ფასეული.

**თამარ შაიშმელაშვილი,**
**მურად ალაშვილის ფოტო**

## ვითხოვ ყურადღებას!



***ბატონო მიხეილ!***

***მოგმართავთ, როგორც სახელმწიფოს პრეზიდენტს, რომელიც არის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი გარანტი. ამ წერილის ლაიტმოტივი და საფუძველი გახლავთ 2009 წლის 5 ივნისს თქვენი გამოსვლა მარტვილში, სადაც თქვენ განაცხადეთ: „ნურავის ექნება ილუზია, რომ თუ კანონი მათ უკანონობას დაამტკიცებს, სახელმწიფო უკან არაფერზე დაიხევს.“ ეს თქვენი სიტყვები ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საქართველოს კონსტიტუციაში და ამის განხორციელება ნამდვილად შეადგენს შემდგარი და დემოკრატიული სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობას. როგორც ყველას, მეც ასევე გულითა და სულით მინდა დავიჯერო ამ სიტყვების გულწრფელობა.***

***რამდენჯერმე მოგმართეთ განცხადებით, იმ უკანონო მოქმედებებთან დაკავშირებით, რომელსაც ჩემს მიმართ ახორციელებდნენ და ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოების ცალკეული მუშაკები, მაგრამ ჩემს განცხადებებზე ჯერჯერობით პასუხი არ მიმიღია, რის გამოც მოგმართავთ ღია წერილით.***

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

# ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მართლმსაჯულება იოლად დაადგენს ჩემს სიმართლეს

**ბატონო მიხეილ!**

საქმე ის არის, რომ მე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი **ვლადიმერ ვახანია** წლების განმავლობაში ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი რუსეთის ფედერაციაში, თუმცა ერთი წუთითაც არ გამიწყვეტია კავშირი ჩემს სამშობლო საქართველოსთან და მუდამ ვფიქრობდი და რაც შემეძლო ვზრუნავდი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. 2008 წლის მარტში თქვენი განკარგულების საფუძველზე მომენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, რის შემდეგაც გადავწყვიტე ოჯახთან ერთად საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლა და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაგრძელება ჩვენს ქვეყანაში, თუმცა პასუხად მივიღე ის, რომ 2008 წლის 12 ოქტომბერს ქ. თბილისის აეროპორტში, როდესაც მივფრინავდი ქ. მოსკოვში (კიევის გავლით) ოჯახის წევრების ჩამოსაყვანად, უკანონოდ დამაკავეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, როგორც შემდეგ გავიგე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ცვლის უფროსმა კონსტანტინე გოლეთიანმა და სხვებმა, რაიმე დოკუმენტის შედგენის გარეშე ჩამომართვეს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს პასპორტები, მობილური ტელეფონი და ზეპირად, ყოველგვარი საფუძვლისა და ბრალის წარდგენის გარეშე დამადანაშაულეს ჯაშუშობაში, რის შემდეგაც გამომაძევეს აეროპორტიდან, რითაც შემეზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფალი გადაადგილების უფლება, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების უკანონო და დანაშაულებრივი ქმედების გამო. ზემოთ მითითებულ ფაქტს ადასტურებენ მოწმეები კახა ბასილია და ირაკლი ფანცხავა.

**აღნიშნულის შესახებ მე წერილობით მივმართე პარლამენტის თავჯდომარეს, შს მინისტრს, გენერალურ პროკურორს, თუმცა ქ. თბილისის პროკურატურის წარმოებაში მიღებული განცხადებისა და ჩემი ახსნა-განმარტების გარდა არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.**

ამის შემდეგ ჩემს მიმართ სისტემატურად ხორციელდებოდა სატელეფონო მუქარა, დევნა და თვალთვალი.

2008 წლის 9 ნოემბერს ქ. თბილისში, საცხოვრებელი ბინის ეზოში, დამიმტვრიეს საკუთარი ავტომანქანა, რაც მიზნად ისახავდა ჩემს შეშინებას და გაჩუმებას. მე, როგორც კანონმორჩილმა მოქალაქემ, ამჯერადაც განცხადებით მივმართე სამართალდამცავ ორგანოებს და ჩემი განცხადების საფუძველზე, ძველი თბილისის შს სამმართველოს V განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა რეალურად არაფერი გაკეთებულა დამნაშავე პირთა დასადგენად. შემდგომ ჩემი დაცვა სცადა ინტელიგენციამ, კერძოდ გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია ჩემს მხარდამჭერ მიტინგზე, სადაც მომიტინგეებმა მოითხოვეს ჩემი შელახული უფლებების აღდგენა. აღნიშნულ ფაქტზე სამართლიანი და კანონშესაბამისი რეაგირების ნაცვლად მივიღე პროვოკაცია. ამ პროვოკაციული გეგმის განხორციელების მიზნით, 2009 წლის 11 მარტს ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მიერ პარტია „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობის ჩატარების დღესვე, ზუგდიდის შს სამმართველოში დაიწყო გამოძიება ჩემს მიმართ, 2009 წლის 13 თებერვალს ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლისა და მუქარის შეთითხნილ ფაქტზე, რომ თითქოს მე ხელი შევუშალე ჟურნალისტ ლ. ხუბულავას ჩემს მიერ მიცემული ინტერვიუს გამოქვეყნებაში, თუმცა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების არაკვალიფიციურობისა და არაპროფესიონალიზმის გამო გაეპარათ რამდენიმე აშკარა უზუსტობა, რაც ნათელს ჰფენს საქმის ნამდვილ გარემოებებს, კერძოდ: გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ზუგდიდის სს სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლის თ. თორიას პატაკი, რომელიც დათარიღებულია 2009 წლის 11 მარტით და სადაც წერია, რომ მან რადიო „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში მოისმინა სამეგრელოს რეგიონული კორესპონდენტების მიერ გადმოცემული ინფორმაცია, რომ რუსეთის მოქალაქემ, ქ. ზუგდიდში მცხოვრებმა ვლადიმერ ვახანიამ გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკის“ ჟურნალისტებისადმი სატელეფონო ზარების მეშვეობით განახორციელა მუქარა, მის მიერ მიცემული ინტერვიუს კასეტის გადმოცემის მოთხოვნით: საქმე ის არის, რომ 2009 წლის 11 მარტს რადიო „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში არანაირი ამდაგვარი სახის ინფორმაცია გადმოცემული არ ყოფილა. დეტექტივ-გამომძიებელმა თ.თორიამ დილეტანტიზმის გამო დაუშვა „მიუტევებელი შეცდომა“ და გააყალბა გამოძიების დაწყების ისედაც ყალბი საფუძველი, რითაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. გარდა ამისა წინასწარი გამოძიების პერიოდში არ დაადასტურა ჩემს მიერ ჟურნალისტ ლ. ხუბულავასთან დარეკვის ფაქტი. ასევე დეტექტივ- გამომძიებელმა პ. დარასელიამ და მ. შენგელიამ ე.წ „დაზარალებულ“ ლ. ხუბულავას დაკითხვამდე, როგორც მათ მიერვე შედგენილი ოქმებიდან ჩანს, დაიწყეს იმ მოწმეთა დაკითხვა, რომლებზეც ლ. ხუბულავამ მოგვიანებით მიუთითა, როგორც მოწმეებზე, რაც ასევე პ. დარასელიასა და მ. შენგელიას არაკვალიფიციურობისა და წინასწარგანზრახული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის აშკარა ნიშანია და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩემს მიმართ მზადდებოდა პროვოკაცია, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ჩემი დაპატიმრება.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ინტერვიუს გამოქვეყნება წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას და მე სრული კანონიერი უფლება მქონდა თანხმობა მიმეცა ან არ მიმეცა მისი გამოქვეყნებისთვის, რაც თავისთავად სრულიად გამორიცხავს ჩემს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. მასვე ადასტურებს სპეციალისტის იურიდიული დასკვნა ამ საკითხზე.

2009 წლის 15 მარტს, დახლოებით 20 საათზე ქ. ზუგდიდში, ჩემს მამისეულ სახლს ყოველგვარი სანქციისა და გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე თავს დაესხა 200-ზე მეტი შეიარაღებული, ნიღაბაფარებული სპეცრაზმელი და პოლიციელი, რომლებიც ჰაერში სროლით შემოიჭრნენ სახლში, მე და ჩემთან ერთად მყოფ პირებს დაგვადეს ხელბორკილები, დაგვაწვინეს იატაკზე და მოგვაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, თვითონ კი გაიფანტნენ მთელ სახლში, დააზიანეს აპარატურა, ავეჯი და კედელი. შემოჭრიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მომცეს წინადადება მომეწვია ჩხრეკის დამსწრეები, რომლებიც პოლიციელთა მხრიდან უხეში და ცინიკური დამოკიდებულების გამო გახდნენ შეუძლოდ და ისე, რომ არ დალოდებიან ჩხრეკის დამთავრებას, პროტესტის ნიშნად წავიდნენ სახლებში, სადაც მათ დასჭირდათ სასწრაფო დახმარების მომსახურება. პოლიციელებმა კი, ჩხრეკის დროს საწოლ ოთახში, ლოგინში, ლეიბის ქვეშ „აღმოაჩინეს“ მათ მიერვე ჩადებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარები. ჩხრეკის ოქმზე პროტესტის ნიშნად არც მე მომიწერია ხელი, თუმცა ჩემდა გასაოცრად, ჩხრეკის ოქმზე რამდენიმე დღეში აღმოვაჩინე ჩემი და დამსწრეების ხელმოწერები. ჩემი ინტერესების დამცველი ადვოკატების მოთხოვნით ჩატარებულმა გრაფიკულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ჩხრეკის ოქმზე არსებული ხელმოწერები არც მე და არც დამსწრეებს არ გვეკუთვნის. ჩემი მამისეული და ასევე ქ.თბილისში ჩემი მეუღლის საცხოვრებელი ბინის აშკარა კანონდარღვევით და ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე ჩატარებულმა ჩხრეკამ დაამტკიცა, რომ გამოძიება ჩემს დაპატიმრებას ისახავდა მიზნად და არა ობიექტურობის დადგენას.

აშკარად ნათელია, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა გოლეთიანმა, ზუგდიდის შს სამმართველოს თანამშრომლებმა მ. შენგელიამ, თ. თორიამ, პ. დარასელიამ და ლ. კანკიამ, ასევე ზუგდიდის რაიონული პროკურორის მოადგილემ დ. ხვიტიამ და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ დ. კეკენაძემ ჩაიდინეს მთელი რიგი წინასწარგანზრახული დანაშაულებრივი ქმედებები, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 146-ე (უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში), 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება და დაპატიმრება, 152-ე (ადგილსამყოფელის თავისუფლად ჩხრეკის უფლების ხელყოფა). 156-ე (ადამიანის დევნა მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით) და 362-ე (სიყალბე) მუხლებით.

**ბატონო მიხეილ!**

სრული მოცულობით ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ მე ჯაშუშურ საქმიანობასთან არანაირი კავშირი არ გამაჩნია, ან კი საიდან მექნებოდა, როცა ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, თუმცა მიუხედავად ამისა, დღემდე ვიმყოფები უკანონო პატიმრობაში გაყალბებული და შეთითხნილი სისხლის სამართლის საქმის საფუძველზე.

მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ერთგულად და პატიოსნად ვემსახურებოდი ჩვენი ქვეყნისა და თანამემამულეების ინტერესების დაცვას და პოლიტიკური მოღვაწეობის სურვილი არც არასდროს მქონია. ბოლო პერიოდში ჩემს მიმართ განხორციელებულმა უსამართლო და უკანონო ქმედებებმა მაიძულა პოლიტიკური საქმიანობის დაწყება, რათა დამეცვა ჩემი და ყველა მოქალაქის დარღვეული უფლებები, რაც ჩემი, როგორც მოქალაქის სრული კანონიერი უფლებაა და საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ევროპული კონვენციებით არის დაცული, მით უმეტეს, რომ ჩემი მშვიდობიანი პოლიტიკური გეგმების შესახებ, ისე, როგორც პარტიის პროგრამა პერიოდულად ქვეყნდებოდა პრესაში და ხელისუფლებისათვის დაფარული არაფერი არ ყოფილა.

მე მაქვს უდავო მტკიცებულებები, როგორც ჩემი უდანაშაულობის, ასევე სამართალდამცავი ორგანოების ცალკეული თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების დასამტკიცებლად. რისი შესაბამისი დოკუმენტაცია შემიძლია წარმოგიდგინოთ როგორც თქვენ, ასევე სამართალდამცავ ორგანოებს.

* * *

**ბატონო მიხეილ!**

**ჩემს მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ისეა გაყალბებული და შეთითხნილი, რომ შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს! თუმცა უკვე მეოთხე თვეა, რაც ვიმყოფები უკანონო პატიმრობაში და ეს საგრძნობლად ლახავს ხელისუფლებასა და ქართული მართლმსაჯულების ავტორიტეტს როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე და საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს. ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მართლმსაჯულება იოლად დაადგენს ჩემს სიმართლეს, რის გამოც მოგმართავთ თქვენ, ადამიანის უფლებათა და კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად დამცველს, ამავდროულად მიიღეთ ჩემი წერილი, როგორც შეტყობინება დანაშაულის ჩადენის შესახებ.**

**მე გამაჩნია საქართველოს განვითარებისთვის ხელისუფლებისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ჩემი განსხვავებული შეხედულებები არის აბსოლუტურად მშვიდობიანი და ლეგალური და მის გამო ჩემი დასჯა არის დანაშაულებრივი ქმედება და ამიტომ მოგმართვთ, როგორც კონსტიტუციის მთავარ დამცველს აიყვანოთ ჩემი საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე და მიიღოთ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილება, დაავალოთ შესაბამის ორგანოებს კანონშესაბამისად ჩემი უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლება და ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ეს იქნება ხელისუფლების ერთ-ერთი ნაბიჯი დაიბრუნოს საზოგადოების ნდობა, რაც უთუოდ სამართლიანობის განცდას აამაღლებს ჩვენს ქვეყანაში.**

**ბატონო მიხეილ! ბოლოს კვლავ მივმართავ თქვენს სიტყვებს: „კანონის უზენაესობა და მხოლოდ კანონის უზენაესობა“.**

უკანონო პატიმარი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი
**ვლადიმერ ვახანია**

განგაში

# შევუნარჩუნოთ უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს პირვანდელი სახე

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს ბ-ნ ნ. რურუას**
**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ბ-ნ ნ. გვარამიას**
**ქ. თბილისის მერს ბ-ნ გ. უგულავას**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი, რომელიც, ცნობილი არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის პროექტის მიხედვით, XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ხალხის უდიდესი ძალისხმევით აშენდა, სამართლიანად იქცა ქართული უმაღლესი განათლების სიმბოლოდ. ამ შენობაში თავდაპირველად გაიხსნა პირველი ქართული გიმნაზია, ხოლო მოგვიანებით კი – პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოში საუნივერსიტეტო სწავლებასა და მეცნიერებას. განსაკუთრებულია ამ შენობის, როგორც კულტურის ძეგლის როლი გასული საუკუნის ახალი თბილისის არქიტექტურული იერსახის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსს მინიჭებული აქვს კულტურისა და ისტორიის ძეგლის სტატუსი (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება № 3/181 1.X.2007, „საკანონმდებლო მაცნე" № 47ძ, აქედან გამომდინარე, მისი დაცვის პრინციპებსა და მასზე ჩასატარებელი სამუშაოების სამართლებრივ საფუძვლებსა და სანებართვო პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.



უკვე რამდენიმე თვეა, ფონდ „ქართუს" დაფინანსებით, უნივერსიტეტში სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს ასოციაცია „ატუ", ხოლო უძრავ ძეგლზე შიდა სარემონტო სამუშაოების სანებართვო მოწმობა 2008 წლის 20 ნოემბერს გაცემულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული საბჭოს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის კაპიტალური რემონტის პროექტი, კომისიის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს და დასკვნაშიც მიუთითეს რომ: „განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცეს ფანჯრების ნახატის შენარჩუნებას და მის ხარისხს."

სამუშაოს დაწყების შემდგომ, დამტკიცებული პროექტის საწინააღმდეგოდ, შენობის ყველა ღიობის თავდაპირველი ჩარჩო და ალათები თანამედროვე ტიპის მეტალოპლასტმასის ფანჯრებით შეიცვალა და სრულიად გადაკეთდა ალათების თავდაპირველი ნახატი, რამაც გამოიწვია ფასადის გარეგანი სახის ცვლილება. ეს კი, მოქმედი კანონმდებლობისა თუ სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო ნორმების მიხედვით, ყოვლად დაუშვებელია.

არავის აქვს უფლება, კანონმდებლობის უხეში დარღვევით, ქართული კულტურისა და ისტორიის ასეთი თვალსაჩინო ძეგლის ფასადი შეცვალოს.

მოვითხოვთ, შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა დაიცვან კანონი, გამოყონ სათანადო კომისია და შეუნარჩუნონ უნივერსიტეტის მთავარ შენობას პირვანდელი იერსახე.

ამასთან ერთად, მადლიერებას გამოვხატავთ ფონდ „ქართუს" მიმართ უნივერსიტეტისადმი გაწეული მზრუნველობის გამო.

**მზექალა შანიძე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი; **მარიამ ლორთქიფანიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი; **ოთარ ჯაფარიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი; **ზაზა სხირტლაძე** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; **ზურაბ კიკნაძე** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **თარხუჯ ჯავახიშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; **მაია მანია** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; **ირინე ელიზბარაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; **მანანა სურამელაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; **ციცინო ჩახუნაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; **მარიამ გაჩეჩილაძე** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; **ელენე თუმანიშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; **თამარ ბელაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი პროფესორი; **ნანა მირცხულავა** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; **ნანა ყიფიანი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; **მაია იზორია** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; **ლალი ანდრონიკაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; **ირინა მირიჯანაშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; **თამარ ამირეჯიბი** – ხელოვნებათმცოდნე; **ლალი ახალაია** – არქეოლოგი; **ზურაბ გაიპარაშვილი** – ისტორიკოსი; **ქრისტინე დარჩია** – ხელოვნებათმცოდნე; **ნათია ებანოიძე** – ხელოვნებათმცოდნე; **ნინო ჭინჭარაული** – ხელოვნებათმცოდნე; **ლალი ჭურღულია** – ხელოვნებათმცოდნე; **მარინე ხატიაშვილი** – ხელოვნებათმცოდნე

ღია წერილი

# გზა პლანეტარული მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ქ-ნ ჰილარი კლინტონს**

**ღრმად პატივცემულო ქ-ნო ჰილარი კლინტონ!**

უპირველესად გვსურს გადმოგცეთ ქართველი ხალხისა და ქართული საზოგადოებრიობის დიდი სიმპათია თქვენდამი და გისურვოთ წარმატება თქვენი ესოდენ დიდი და საკაცობრიო მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი მისიის აღსრულებაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზისათვის ცნობილია, რომ 2008 წლის სექტემბერში, საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განხორციელებულ რუსულ აგრესიასთან კავშირში, 2008 წლის სექტემბერში, თქვენი ინიციატივით აშშ-ში დაისვა საკითხი, შექმნილიყო საერთაშორისო კომისია საქართველოს ე.წ. ეთნოკონფლიქტური პრობლემების შესწავლისათვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. ამასთან, თქვენს ინიციატივაში ხაზგასმული იყო ამ კონფლიქტების შესწავლის აუცილებლობა 1990-იანი წლებიდან.

მიგვაჩნია რა, რომ საქართველოს ეთნოკონფლიქტები საერთაშორისო დონეზე სათანადოდ ნამდვილად არ არის შეწავლილი და ამასთან ჩვენივე, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ამ პრობლემების მოწესრიგებისა დღემდე არასწორ მეცნიერულ საფუძვლებზე დგას, თსუ ასამბლეა თქვენს ინიციატივას თანამედროვე მსოფლიოს ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაბიჯად აფასებდა, საქართველოს ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების საქმეში, ასევე აშშ-ის საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობის საქმეში და, შეიძლება ითქვას, რომ გვეოცნებებოდა კიდეც ასეთი კომისიის შექმნა, რომელიც, ჩვენი წარმოსახვით, მსოფლიოს მეცნიერებთან ერთად ქართველ მეცნიერთა კონსულტაციებსაც დააყენებდა დღის წესრიგში.

პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ ჩვენი ანალიტიკური დარბაზის მიმდინარე სხდომებზე დღის წესრიგში დადგა გარკვევა თქვენი ინიციატივის შედეგების.

ქართველი ხალხის ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, როდესაც ზენიტშია სოციალური აფეთქება და კარზეა მომდგარი ახალი რუსული აგრესიის საშიშროება, რეალურად გამოიკვეთა საქართველოში ეთნოკონფლიქტების მოწესრიგებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ორი ალტერნატიული გზა: ეს არის აშშ-ის სტრატეგიული თანადგომისა და ნატოს გზა და მეორე – საქართველოს საკუთარი შესაძლებლობების ინტენსიური გაცნობიერებისა და ამოქმედების გზა, ანუ ისტორიულად ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების ეკლესიური გზა. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ეს უკანასკნელი, ანუ ეკლესიური გზა სერიოზულ რეალურ დატვირთვას და ძალას იძენს არა დამოუკიდებლად აშშ-ის სტრატეგიული თანადგომის, არამედ სწორედ დღევანდელ პოლიტიკურ ჭრილში – გარე სივრციდან აშშ-ის თანადგომისა და შიდა სივრცეში საქართველოს პატრიარქის განსაკუთრებული ავტორიტეტის ჭრილში. სწორედ ამ თვალსაზრისით გვესახება განსაკუთრებული მნიშვნელობისად თქვენი ინიციატივა საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ რუსეთის მიერ ხელოვნურად თავსმოხვეული ეთნოკონფლიქტების შესწავლისათვის 1991 წლიდან.

მოგეხსენებათ, რომ 2009 წლის 9 აპრილიდან დღემდე საქართველოში მიმდინარეობს არნახული გრანდიოზული მანიფესტაციები საქართველოს ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი მრუდე საშინაო და საგარეო პოლიტიკით ვერ უზრუნველყო საქართველოს მოსახლეობის ცხოვრება ელემენტარული საარსებო მინიმუმით, ანუ ადამიანის უმთავრესი უფლებით – სიცოცხლის უფლებით ამ სიტყვის არა მეტაფორული, არამედ სრულიად შიშველი პირდაპირი მნიშვნელობით; ვერ უზრუნველყო დაეცვა ვერც მიწა-წყალი ჩვენი ქვეყნისა და ვერც ღირსება ჩვენი ერისა... და ამ წუთშიც საქართველო იმყოფება რუსული აგრესიის ახალი უმწვავესი საფრთხის ქვეშ...

საჭიროდ მივიჩნევთ პირადად გაუწყოთ, რომ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" მიერ საქართველოში მიმდინარე ამ გრანდიოზული სახალხო მანიფესტაციების პარალელურ რეჟიმში დასმული საკითხი ე.წ. ეთნიკური კონფლიქტების მოწესრიგებისა, ახალი შეთავაზებით, ანუ საქართველოს ეკლესიის პრიორიტეტული მმართველობით, არის გამოწვევა დღევანდელი პოლიტიკური რეალობის და განპირობებულია ორი უმნიშვნელოვანესი მომენტით. აწ განსვენებული რუსეთის პატრიარქის, მისი უწმინდესობის ალექსი მეორის მიერ უმწვავეს პოლიტიკურ ვითარებაში გაცხადებული აღიარება საქართველოს ეკლესიურ-ეპარქიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა, რაც უსათუოდ უნდა შეფასებულ იქნას, როგორც უმნიშვნელოვანესი აქტი ე.წ. ეთნოკონფლიქტების მოწესრიგების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი აღდგენის; და მეორე – რუსეთის პრეზიდენტის, ბ-ნ მედვედევის საუბარი მოსკოვში მაცხოვრის ტაძარში, საქართველოს პატრიარქთან, მის უწმინდესობა ილია მეორესთან, რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა აფხაზეთის ლტოლვილი მოსახლეობის დაბრუნებისა, როგორც ჩანს, გარკვეული ქვეტექსტით: თუ ამგვარი პრობლემების მოწესრიგება რუსეთის მხრიდან წარიმართება არა საქართველოში ამჟამად არსებულ ხელისუფლებასთან ურთიერთობის, არამედ ეკლესიასთან ურთიერთობის რეჟიმში. როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებაში საქართველოს ეკლესიის პრიორიტეტის ამოქმედებისათვის საქართველოს აქვს უნიკალური იურიდიული ბაზა საქართველოს ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების, ანუ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, 2002 წელს საქართველოს პატრიარქისა და საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი კონკორდატის სახით. ამ შეთანხმებით კანონიზირებულია საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს მზადყოფნა ერთიანი თანამშრომლობისა ნებისმიერ სფეროში, თუ ამას ხალხის კეთილდღეობა ითხოვს. ჩვენი დარბაზის ანალიტიკით კი, ამ შეთანხმების ამოქმედება მნიშვნელოვანია დღეს არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის, არამედ პლანეტარული მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვისაც, რადგანაც, ყველასთვის ნათელია, რომ სამხედრო დაპირისპირება რუსეთსა და ნატოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე, შესაძლოა განვითარდეს მეტისმეტად სახიფათო მასშტაბით.

თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის ანალიტიკურ დარბაზს ესახება, რომ ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული კონკორდატი, ანუ საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის და თქვენი ინიციატივით წამოყენებული საერთაშორისო კომისია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ეთნოკონფლიქტური საკითხების შესწავლისა, რეალური ძალაა საქართველოს სიმართლის გამოვლენის და პრობლემათა მშვიდობიანი გადაწყვეტისა. ამ გზით თქვენ, აშშ, ერთდროულად გაუწევთ სამსახურს ქართველ ხალხსაც და მთელი კაცობრიობის მშვიდობიან ცხოვრებასაც, რისთვისაც, ვფიქრობთ, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ყოველი მხრიდან.

უღრმესი პატივისცემით,

დარბაზის სახელით,

**დენიზა სუმბაძე** – პროფესორი, თეოლოგი, **ზურაბ აბაშიძე** – პროფესორი, გერმანისტი, **ოთარ გამყრელიძე** – პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **ლევან ფრუიძე** – ეთნოგრაფი, **თამაზ სანიკიძე** – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, **შოთა ვეშაპიძე** – პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, **თენგიზ ჩხეიძე** – პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, **სულხან ძემოკლიძე** – პროფესორი, ქირურგი, **რუსუდან წიქვაძე** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, **თამარ მუმლაძე** – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, **ლამარა ანდრონიკაშვილი** – არქიტექტორი, **ნუგზარ კახნიაური** – საზოგადო მოღვაწე, **ლამარა გიორგაშვილი** – მწერალი, ჟურნალისტი

ბუნებრივი პროტესტი

# ელიზბარ ჯაველიძე თეთრზე ამბობს, შავიაო!

## ფრჩხილებში, სასხვათაშორისოდ თქმულის შესახებ

**სულ რამდენიმე წუთის წინათ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ელიზბარ ჯაველიძეზე სხვა რამ მექნებოდა სათქმელი, გარდა მისი პუბლიცისტიკით აღფრთოვანებისა და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის პატივისცემისა.**

ცნობილი მეცნიერის, პუბლიცისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, პროფესორ ელიზბარ ჯაველიძის ახალ წიგნს „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით", რომ იტყვიან, ჯერ სტამბის საღებავი არ შეშრობია. რამდენადმე ბუნდოვანი სათაურის მიუხედავად, მე იგი ისეთივე ინტერესით ავიღე ხელში, როგორც წინა წლებში გამოსული ამავე ავტორის ორი მოზრდილი პუბლიცისტური კრებული და იმედი მქონდა, ისეთივე ინტერესით ჩავიკითხავდი ბოლომდე. მაგრამ, სამწუხაროდ და მოულოდნელად, 22-ე გვერდამდე რომ მივედი, იძულებული გავხდი, წიგნი გვერდზე გადამედო და კომპიუტერს მივჯდომოდი.

ბატონი ჯაველიძის წინა წიგნებისაგან განსხვავებით ეს ახალი წიგნი მის მემუარებს წარმოადგენს, რომელშიც, როგორც ანოტაცია გვაუწყებს, *„ერთობ საინტერესო კუთხით აღწერილია იმჟამინდელი მჩქეფარე ცხოვრება და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მისი ობიექტური ანალიზია მოცემული".*

ავტორიც თავის წინათქმაში ჭეშმარიტების ერთგულებასა და ობიექტურობას გვპირდება:

*„თუმცა დღეს მრავლად იწერება ნარკვევები და მხატვრული ტილოები, საქართველოში ბოლო დროს დატრიალებულ ამბებს რომ ეხება, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტეს მათგანს კონიუნქტურის ელფერი დაჰკრავს; მეტიც, ისინი სინამდვილეს განზრახ ამახინჯებენ და მრუდე სარკეში ასახავენ. ვერ დავიჩემებ, რომ ჩემი მოგონებები სუბიექტური თვალთახედვისაგან სავსებით დაზღვეული იყოს. ყოველივე, რასაც მოგითხრობთ, ჩემი თვალით ნანახია და საკუთარ გულშია გადახარშული, მაგრამ შევეცდები ობიექტურობის გრძნობა არ დავკარგო და ჭეშმარიტებას არ ვუღალატო, რამდენადაც ეს ხელმეწიფება. ასეა თუ ისე, მე ჩემი უნდა ვთქვა, ხოლო საბოლოოდ ისტორიამ განსაჯოს: ვინ მართალია და ვინ — მტყუანი!"*

საინტერესო კუთხით აღწერაზე, ისტორიასა და საბოლოო განაჩენზე პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ, ბატონი ჯაველიძისა არ იყოს, მეც ჩემი უნდა ვთქვა:

წიგნის 21-ე და 22-ე გვერდებზე ავტორი აღწერს მართლა ამაზრზენ შემთხვევას, რომელმაც არ შეიძლება აღშფოთება არ გამოიწვიოს, ერთ მხრივ და ავტორისადმი თანაგრძნობით არ განგაწყოს მეორე მხრივ, მაგრამ იქვე, ფრჩხილებში, სასხვათაშორისოდ, პატივცემულ მემუარისტს ისეთი რამ უწერია, რომ თანაგრძნობა კი არა, თავად როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილას, არ ვიცი.

ობიექტურობის გრძნობა რომ არ დავკარგო, აქ იძულებული ვარ ვრცელი ციტატა მოვიხმო ბატონ ჯაველიძის მემუარებიდან:

*„უცებ, სად იყო და სად არა, ჩვენსკენ დიდი სიჩქარით მომავალი თეთრი „ვოლგა" გამოჩნდა, ხალხი „ფურგონიანს" რომ უწოდებს... მოდის პირდაპირ ჩვენზე ისე, როგორც ბუღა — წითელი მანდილის ფრიალზე, სურს რქებით დაგვეჯახოს. ბიძინას ვეუბნები, შეხედე, რას შვრება ეს გათახსირებული-მეთქი. ბიძინაც მკვეთრად მარჯვნივ იღებს, მაგრამ „ვოლგა" არ გვეშვება, ისიც ჩვენს მხარეს გადმოდის. უფრო მარჯვნივ კედელია აღმართული, ველარსად წავალთ! თუმცა ბიძინა საოცარი სიმარდით ისევ მარცხნივ აბრუნებს მანქანას და რომ გვეგონა, მდევარს თავი დავაღწიეთ, „ვოლგაც" ჩვენსკენ ტრიალდება და პირდაპირ იმ ადგილას გვეჯახება, სადაც მე ვზივარ. ჩვენი ჯაგლაგი „ჟიგული" რამდენიმე მეტრს იფრენს და ისევ ოთხივე თვალზე დგება... შუბლის მინა იმსხვრევა, მთლიანად გადაპენტილი ვარ ნამსხვრევებით, ტორტმანტორტმანით გადმოვდივარ, თავიდან, სახიდან და ტანსაცმლიდან ვიბერტყავ, სათითაოდ ვიცლი შუშის მოზრდილ ნატეხებს... ღვთის წყალობით არც დაჭრილი ვარ და არც დამტვრეული-მეთქი, ვფიქრობ ჩემთვის. „ვოლგის" მძღოლიც (სხვათა შორის, ეს მანქანა გაზეთ „სამშობლოს" ეკუთვნოდა) გადმოდის, ბარბაცებს, სიმთვრალეს იგონებს, მაგრამ თვალებს სიმთვრალის ნატამალიც არ ეტყობა. აშკარად მოწყობილია, ვფიქრობ, და ბრაზი მახრჩობს. პოლიციის მანქანაც საეჭვო ოპერატიულობით მოგრიალდება... პოლიციელები პირდაპირ საქმეზე გადადიან, მარწმუნებენ, რომ უმჯობესია დამნაშავემ ჩვენი მანქანა აღადგინოს, ვიდრე საქმე აღიძრას მის წინააღმდეგ, რადგანაც ასეთ შემთხვევაში დრო უსაზღვროდ გაჭიანურდებაო. დამნაშავე მძღოლიც, ადრე რომ ბარბაცებდა და ფეხზე ვერ იდგა, თითქოს სავსებით გამოფხიზლდაო, საღად მსჯელობს გადასახდელი თანხის ოდენობაზე. ჩემთვის ყველაფერი ნათელია. გვერდზე გავდივარ, კამათში აღარ ვერევი... აშკარაა, მომიწყვეს ამ თახსირებმა, ან შეშინება სურდათ, ან უფრო მეტიც!.. ამათგან სხვას რას უნდა მოველოდეთ-მეთქი, ვეუბნები მეუღლეს, ვცდილობ სიმშვიდე შევინარჩუნო, მაგრამ ნერვიულობისაგან სასა მიშრება..."*

მეც, თუმცა ბრაზი მახრჩობს და ნერვიულობისგან სასა მიშრება, ვცდილობ, სიმშვიდე შევინარჩუნო, რადგან, მემუარისტისგან განსხვავებით, ჩემთვის ყველაფერი ნათელი სულაც არ არის და არც გვერდზე გადგომას ვაპირებ.

არავითარი საფუძველი არა მაქვს, ეჭვი შევიტანო ძირითად ტექსტში აღწერილი ამაზრზენი ამბის სინამდვილეში ან მის ავტორისეულ ინტერპრეტაციაში, მაგრამ ფრჩხილებში მოქცეული სასხვათაშორისო ფრაზა ჩემთვის, — 1988 წლიდან გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორისათვის — ვერაფრით იქნება სასხვათაშორისო: მთელი ორი ათეული წელიწადია, გაზეთი „სამშობლო" ჩემი ბიოგრაფიის ნაწილია და მეც ამ გაზეთის ისტორიის ნაწილად ვარ ქცეული.

გაზეთ „სამშობლოს" რედაქციას, ისე როგორც გამომცემლობა „სამშობლოს" სისტემაში გაერთიანებულ ყველა სხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციას, მართლა ემსახურებოდა „ვოლგა", მაგრამ ჯერ ერთი ეს „ვოლგა" სულაც არ იყო ისეთი, „ხალხი ფურგონიანს რომ უწოდებს" და თანაც იგი შავი გახლდათ, ხოლო ეს ფერი, როგორც მოგეხსენებათ, თუ ძალიან არ მოინდომა, თეთრში იშვიათად ერევა ვინმეს.

გარდა ამისა, 1991 წლის დეკემბრიდან, ანუ იმ პერიოდში, რომელზეც მემუარისტს აღწერილი ამბავი გადახდა თავს, გაზეთ „სამშობლოს" აღარც ის შავი, არაფურგონი „ვოლგა" ემსახურებოდა: თბილისის ომის შემდეგ იგი კარგა ხანს გამომცემლობა „სამშობლოს" გარაჟში იდგა, მერე გამომცემლობის დირექტორის, ბატონ ნოდარ ჯაველიძის თანხმობით ჩვენ ის შევისყიდეთ, მალევე გავყიდეთ ბაზარზე და შემოსული თანხით ერთხანს კიდევ ვასულდგმულეთ ყოველგვარ სახსარს და მხარდაჭერას მოკლებული გაზეთი, სანამ იგი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დახმარებით ალმანახად არ გადავაკეთეთ ორიოდე თვის წინათ. გაზეთ „სამშობლოს" რამდენიმეკაციანი კოლექტივის გარდა სხვაც ბევრია ამის მოწმე.

თუმცა რა შუაშია შავი, არაფურგონი „ვოლგის" თავგადასავალი, როცა მემუარისტი თეთრ, ხალხში „ფურგონიანს" რომ ეძახიან, იმ „ვოლგას" ემართლება.

არავითარი უფლება არა მაქვს, ეჭვი შევიტანო მემუარისტის მიერ აღწერილი მანქანის ფერსა და მის ფურგონიანობაში, უბრალოდ, მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვთქვა, რომ ამგვარ მანქანასთან გაზეთ „სამშობლოს" არავითარი კავშირი არასოდეს ჰქონია. ჩემი ამ ოპუსის სათაურის მიუხედავად, მე არ მინდა დავიჯერო, რომ ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს მართლა ერევა ერთმანეთში თეთრი და შავი; იმაშიც დარწმუნებული ვარ, მას რომც არეოდა, უთუოდ გაუსწორებდა მისი წიგნის რედაქტორი და მეუღლე, ქალბატონი ნინო ჯაველიძე, რომელიც თან ხლებია მას იმ შემთხვევისას. არც ის მინდა ვიფიქრო, რომ ბატონ ელიზბარს ამ ეპიზოდის დაწერისას პირადი რამ წყენა თუ ინტერესი ამოძრავებდა გაზეთ „სამშობლოს" რედაქციის, მისი რედაქტორის ან მძღოლის მიმართ.

თუ იმ ავარიაში მართლა გაზეთ „სამშობლოს" მანქანა ფიგურირებდა, ჩემთვის გაუგებარია, როგორ მოითმინა პირდაპირობითა და პრინციპულობით ცნობილმა ბატონმა ელიზბარმა და ამ წლების განმავლობაში არცთუ ხშირი, მაგრამ არაერთი შეხვედრის დროს ერთი საყვედური მაინც არ დასცდა ჩემს მიმართ გულითადი სალმისა თუ მოკითხვის ნაცვლად.

იხ. 8 გვ.

ქურდული ბიზნესი

# სმოლენსკის ოლქში „ლაღიძის წყლებმა" ამოხეთქა!

## გურამ აბსანძემ თბილისიდან რუდნიამდე „საიდუმლო გვირაბი" გათხარა

**ზოგს შეიძლება სათაურში გამოტანილი „ლაღიძის წყლების" სმოლენსკის ოლქში ამოხეთქვის ამბავი, ან, გნებავთ, აბსანძის მიერ თბილისიდან რუდნიამდე გათხრილი „საიდუმლო გვირაბი" ზღაპრადაც მოეჩვენოს, მაგრამ თუ გაიხსენებს იმავე აბსანძის მიერ მშობლიურ ქვეყანაში „მოღვაწეობის პერიოდში" ციხეში გათხრილ მოზრდილ გვირაბს, საიდანაც თურმე დიდი გაჭირვებითა და სულ ჭიფხვაჭიფხვით გამოძვრა, ეს ყველაფერი შეიძლება აღარც კი გაუკვირდეს.**

მას შემდეგ ჩვენს იავარქმნილ ქვეყანაში ბევრმა წყალმა ჩაიარა და იმ აბსანძისეულ გვირაბსაც თითქოს მივიწყების ფერფლი წაეყარა, მოულოდნელად ზედაპირზე რომ არ ამოტივტივებულიყო სენსაციური ამბავი, რომელმაც ეს ჩვენი ნაღვაწ-ნამაშვრალი ექს-სახელმწიფო მოხელე ახალ ამპლუაში (ამჯერად უკვე რუსეთშიძ წარმოაჩინა. ამის თაობაზე პრესკონფერენციაზე მიწვეულ ჟურნალისტებს აცნობეს სააქციო საზოგადოება „ლაღიძის" გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლაღიძემ და საწარმოს მთავარმა ტექნოლოგმა ნანა ჩახაიამ, რომლებმაც გურამ აბსანძის, როგორც რუსეთში „მოღვაწე ბიზნესმენის" დასახასიათებლად მონდომება და ეპითეტები არ დაიშურეს.

მათი ინფორმაციით, საქართველოდან რუსეთში გადახვეწილმა გურამ აბსანძემ, როგორც ენერგიულმა და შანსიანმა ფინანსისტმა, დრო უქმად არ დაკარგა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია ბიზნესის სფეროს დაუკავშირა. მან სმოლენსკის ოლქის ქალაქ რუდნიაში დააფუძნა შპს „ბორდინო-2006" (დირექტორი ელგუჯა ოთხოზურიძ, რომელიც არყის წარმოებაზეა სპეციალიზებული. ლაღიძელებს, რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით, პრეტენზიები არ გააჩნიათ, თავად აბსანძეს რომ არ გასჩენოდა დამატებითი პრეტენზია, დაუკრეფავში არ გადასულიყო და ულიცენზიოდ და ქურდულად არაყთან ერთად „ლაღიძის წყლის" ჩამოსხმა-რეალიზაციაც არ წამოეწყო. არ გაემტყუნებაო, ხუმრობს ერთ-ერთი ჟურნალისტი, მწარე არყით პირდათუთქულ რუსებს „ლაღიძის წყლით" ყელის ჩაკოკლოზინება ნამდვილად მოუხდებათო.



თუმცა აბსანძის თბილისელი „პარტნიორები" სულაც არ არიან ხუმრობის ხასიათზე. როგორც ქალბატონი ნანა ჩახაია აცხადებს, ეს ამბავი რომ შეიტყო, პირკატა ეცა, მაგრამ რა, აბსანძეს იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოეხადა და მოპარული ბიზნესის კეთება შეეწყვიტა, მიკიბულ-მოკიბული „საბუთებით" თავის მართლება სცადა.

**— რა საბუთებზეა ლაპარაკი?** — დავინტერესდით პრესკონფერენციის მონაწილენი.

— არავითარი საბუთები და ლიცენზია არ არსებობს, ყველაფერი მოგონილი და მათ მიერ შეთითხნილია. ეს რომ ასეა და არა სხვანაირად, კარგად ჩანს საქმის გამოძიებიდან და არქივებიდან, რომლის მიხედვით 1991 წელს რეგისტრირებული მცირე საწარმო „ლაღიძის წყლები" ვითომ შექმნილია მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებაში. ბევრი ვეძიეთ, ამბობს ქალბატონი ნანა, მაგრამ ასეთ საზოგადოებას ვერ მივაკვლიეთ. ამის თაობაზე არაფერი იციან თავად მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაშიც, სადაც აცხადებენ, რომ ჩვენ 1995 წელს ჩამოვყალიბდით და 1991 წელს საწარმოს რეგისტრაცია რანაირად მოხდებოდაო(?ძ.

არადა „ლაღიძის წყლის" რუსეთუმე ავტორები (იგივე აბსანძეები) სწორედ ამ „დოკუმენტს" იყენებენ შირმად, რათა დაამტკიცონ, რომ მათ მიერ 2006 წლის 20 ივნისს შექმნილი ფირმა „რამაზ ლაღიძე" არის მემკვიდრე მიტროფანე ლაღიძისა და კანონიერების სრული დაცვით ამზადებს ლიმონათს მიტროფანე ლაღიძის რეცეპტურით. მათივე „მტკიცებით", ფირმა „რამაზ ლაღიძე" დაფუძნებულია მიტროფანე ლაღიძის შვილის რამაზ ლაღიძის მიერ, რომელიც დიდი მეცნიერ-ქიმიკოსი კი იყო, მაგრამ „ლაღიძის წყლის" რეცეპტურის შექმნაში არასოდეს მიუღია მონაწილეობა. ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, იქიდანაც ჩანს, რომ ბატონი რამაზ ლაღიძე 1989 წელს გარდაიცვალა, თავის სახელობის ფირმა კი თურმე სიკვდილიდან 17 წლის შემდეგ — 2006 წელს შეუქმნია(?).

მეტი ლაფსუსი გინდათ? ვნახოთ, შეიძლება უარესიც მოიფიქრონ ლაღიძელმა აბსანძეებმა. თავად მიტროფანე ლაღიძის შვილიშვილები (საწარმოს ამჟამინდელი გენერალური დირექტორი სწორედ მისი შვილიშვილიაძ და შვილთაშვილები კი თავიანთი დიდი წინაპრის საფირმო სახელს (ნიშანსძ იმდენად უფრთხილდებიან, რომ თვითონ არ მიისაკუთრეს და ის ერის სასიქადულო შვილის მიერ დაარსებულ ქარხანას გადასცეს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სიმართლის ბოლომდე გატანას როგორ აპირებთ?** — ვეკითხები მასპინძელს.

— სასამართლოს მეშვეობით. საქმე გასაჩივრებული გვაქვს სმოლენსკის საარბიტრაჟო სასამართლოში, რომლის პირველი სხდომა 22 მაისს გაიმართა, მაგრამ მოპასუხე მხარის უწესო საქციელისა და აყალ-მაყალის გამო, მოსამართლე იძულებული გახდა, პროცესი 4 ივლისისთვის გადაედო.

**— და თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთში საქართველოზე უკეთესი სამართალი აქვთ?**

— ვნახოთ, თუ იქ სამართალი ვერ ვიპოვეთ, მაშინ საერთაშორისო სასამართლოს მივმართავთ, რის უფლებასაც ჟენევაში დაპატენტებული მსოფლიოში აღიარებული ბრენდი „ლაღიძის წყალი" გვაძლევს. ეს უნიკალური სასმელი, ამბობს ბატონი თორნიკე ლაღიძე, ქართული გენის ნაყოფია და მისი სახელის შერყვნა-ფალსიფიცირებას არავის ვაპატიებთ.

**ოთარ ხუციშვილი**

ბუნებრივი პროტესტი

# ელიზბარ ჯაველიძე თეთრზე ამბობს, შავიაო!

(მეშვიდე გვერდიდან)

ვცდილობ, ძალიან ვცდილობ ამ ყველაფერს გამართლება თუ არა, ახსნა მაინც მოვუძებნო. მეც მჭერია ხელში კალამი და კარგად ვიცი, რა სავალალო შედეგი მოსდევს ხოლმე ხანდახან კალმისმიერ ლაფსუსს. ძალიან არ მინდა შევცდე, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ აქაც სწორედ ამგვარ ლაფსუსთან უნდა გვქონდეს საქმე და მემუარისტს, არ ვიცი სიჩქარის, არ ვიცი სხვა რამ მიზეზის გამო, ერთმანეთში თეთრი და შავი კი არა, გაზეთი „სამშობლო“ და გამომცემლობა „სამშობლო“ აერია, რომელსაც ავტომანქანების საკმაოდ დიდი პარკი ჰქონდა და მათ შორის შეიძლება ფურგონიანი თეთრი „ვოლგაც“ იყო, თუმცა მე ეს დაზუსტებით არ შემიძლია ვამტკიცო. ვახტანგ ესვანჯიას ორი ნათლული – ერთი და იგივე სახელის მქონე გაზეთი და გამომცემლობა ბევრს არევია ერთმანეთში, ზოგიერთს დღესაც ერევა, მაგრამ თუ მავანთაგან ასეთი აღრევა იშვიათად გამკვირვებია, კოლეგა ჯაველიძისაგან – გამოცდილი რედაქტორისაგან, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოს“ სწორედ გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში ბეჭდავდა, ასეთი დაუდევრობა დიახაც საკვირველია.

დავწერე სიტყვა „დაუდევრობა“ და მემუარისტის წუხილი გამახსენდა მისი წინათქმიდან:

***„ჩემდა სამწუხაროდ, დღიურებს არასოდეს ვწერდი. არადა ასეთი ჩანაწერები დიდად წამადგებოდა მრავალი დეტალის აღდგენაში. მაგრამ ახლა ამ დაუდევრობის გამო წუწუნი არას მარგებს და მხოლოდ იმის მოთხრობას უნდა დავჯერდე, რაიც მეხსიერებას შემორჩა“.***

ამ მოგონიშების მიუხედავად, ძალიან საწყენია, რომ მემუარისტის მეხსიერებას არ შემორჩა ისეთი დეტალები, როგორიცაა, ვთქვათ, ავტომანქანის ნომერი, ან მძღოლის გვარი და სახელი, რაც მართლა ნათელს მოჰფენდა ყველაფერს და რაც, ვფიქრობ, უფრო ადვილი დასადგენი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მანქანის კუთვნილება რომელიმე ორგანიზაციისადმი. ან იქნებ იმ თეთრი ფურგონის მძღოლმა, რომელიც „თითქოს სავსებით გამოფხიზლდაო“, სულაც გზა-კვალის აბნევის მიზნით მართლა თქვა, გაზეთ „სამშობლოს“ ვეკუთვნიო...

ვინ-ვინ და კოლეგა ჯაველიძემ, როგორც გამოცდილმა რედაქტორმა, როგორც გამოცდილმა კალმოსანმა, რომელიც სხვადასხვა დროს სათავეში ედგა ჟურნალ „კრიტიკას“, გაზეთებს „ლიტერატურულ საქართველოს“, „საქართველოს სამრეკლოს“, „კოლხურ კოშკს“, „სამრეკლოს“, „ახალ ერას“, „აისს“, სხვაზე უკეთ უწყის თითოეული სიტყვის წონა და ფასი, თითოეული დეტალის მნიშვნელობა, მით უმეტეს, ისეთ კონტექსტში, სადაც მემუარისტი ავტოკატასტროფის მოწყობაში ადანაშაულებს ვისმე, შეშინების „ან უფრო მეტის“ მიზნით.

ასე ჰაიჰარად ასეთ რამეს სერიოზული ხალხი ჩვეულებრივ არ წერს.

თუ ვცდები და ეს კალმის ან სხვა რამ ლაფსუსი არ არის და მემუარისტი ჩემთვის უცნობი მოტივით შეგნებულად ამახინჯებს სინამდვილეს, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი უარესად იქცევა, ვიდრე ის მართლა „თახსირები“, რომელთაც მისი „ან შეშინება სურდათ, ან უფრო მეტიც!..“

და სწორედ იმიტომ, რომ ბატონმა ელიზბარმა სხვაზე უკეთ უწყის თითოეული სიტყვის წონა და ფასი, პოლიციელების რჩევა უნდა გავახსენო, რომელთაც, მისი მემუარების თანახმად, მისთვის უთქვამთ: ***„უმჯობესია დამნაშავემ ჩვენი მანქანა აღადგინოს, ვიდრე საქმე აღიძრას მის წინააღმდეგ“...***

თუ ჩემი ვარაუდი სწორია და საქმე მართლაც კალმის ლაფსუსთან გვაქვს, დიახაც უმჯობესია, მემუარისტმა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის პატივი და ღირსება შეცდომის გასწორებითა და საჯარო ბოდიშის მოხდით აღადგინოს, ვიდრე საქმე აღიძრას მის წინააღმდეგ, რადგან ასეთ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რაგინდ დროში გაჭიანურდეს, სასამართლომ ბოდიშთან ერთად იმ თანხის ოდენობაზეც იმსჯელოს, რომელიც დაზარალებულმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს თუნდაც უნებლიე ცილისწამების გამო მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

იმედი მაქვს რომ ბატონი ელიზბარი, რომელსაც, ჩემი ცოდნით, სამართლიანობის გრძნობა გამახვილებული აქვს და არც ობიექტურობა ესწავლება ვინმესაგან, თავად მოძებნის შეცდომის გასწორების ფორმას. რაკი თუნდაც ყველა ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული შეცდომის გასწორება, წიგნის მკითხველამდე შეიძლება მაინც ვერ მივიდეს, იქნებ ყველაზე უპრიანი იყოს, თავად წიგნს დაერთოს პატარა ფურცელი შეცდომის გასწორებით, როგორც ეს არის მიღებული. აკი მოგახსენეთ, წიგნს ჯერ სტამბის სალებავი არ შეშრობია და, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მისი ტირაჟიც არ უნდა იყოს მეტისმეტად დიდი. ხოლო თუ პატივცემული მემუარისტი დაიჟინებს, რომ შეცდომა არ მოსვლია, რომ ის თეთრი „ვოლგა“, ხალხი „ფურგონიანს“ რომ უწოდებს, გინდა თუ არა, გაზეთ „სამშობლოს“ ეკუთვნოდა, მე უფლება მექნება, დავეჭვდე, რომ მთელ მის წიგნში თეთრი და შავი ისეა არეული ერთმანეთში, როგორც ამ ერთ კონკრეტულ ეპიზოდში და, გარდა ამისა, იძულებული ვიქნები... იხ. წინა აბზაცი.

დაბოლოს, მკითხველის ნებართვით, მინდა პროფესორ ჯაველიძეს მისი წინა წიგნის სათაურით მივმართო:

– ბატონო ელიზბარ, „მართალმა რაი ჰყოს?!“

**პაატა ნაცვლიშვილი**

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

## სადგურ ზესტაფონის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე 49.70 კვ,მ ფართის, სასადილოს მოწყობის მიზნით დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

- საიჯარო ქონების მისამართი- სადგური ზესტაფონი
- იჯარით გასაცემი ფართი - 49.70 კვ.მ
- საწყისი საიჯარო ქირა თვეში - 30 ლარი (დღგს-გარეშე)
- „ბე“ – 30 ლარი
- იჯარის ვადა - 3 წელი

- **განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „ საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული**
  ტელ: 56 33 48; 56 65 10

- **განაცხადების მიღების ვადა** - 2009 წლის 24 ივნისიდან 2009 წლის 7 ივლისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

- **კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო** - მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი - 2009 წლის 8 ივლისი. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.

- **შპს „საქართველოს რკინიგზის“** საბანკო რეკვიზიტები - „ბანკი რესპუბლიკა“ , ცენტრალური ფილიალი, ა/ა№3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

- **კონკურსში მონაწილეობის მიღება** შეუძლიათ - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

2. 1. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

2. 2. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარიული ნორმების დაცვა.

2. 3. იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

2. 4. ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა. შპს „საქართველოს რკინიგზის“ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს, საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

**3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

1. 1. საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება**

4. 1. კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.

4. 2. მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4. 3. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

4. 4. თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

5. 1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა, გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

5. 2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებით სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე ასეთი წინადადებები არ განიხილება)

5. 3. „ბე“ -ს გადახდის ქვითარი - „ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

5. 4. კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5. 5. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5. 6. კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

5. 7. კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

5. 8. გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. 9. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

**6. შენიშვნები და დათქმები**

6. 1. მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

6. 2. დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

6. 3. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

6.4. თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.

6. 5. მეიჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია

**შპს „საქართველოს რკინიგზაში“**
**ტელ.: 56 33 48;**
**56 65 10;**

„ელიტა“

*ერთ მშვენიერ დღეს ინტერნეტის გამოუცნობი გზებით „რეაქტიული კლუბი„ აღმოვაჩინე. უფრო სწორად, მისი ერთ-ერთი წევრის პაატა ქურდაძის ბლოგი. „რეაქტიული სამყაროდან“ ირაკლი ჩარკვიანი ცოცხალი აღარაა, კოტე ყუბანეიშვილი საქართველოშია და „თქვენი ქსელი, ჟეოსელის“ გარდა კიდევ ბევრ რაღაცას წერს. ბლოგური ჟანრი ანუ, როგორც დღეს უწოდებენ, „ბლოგოსფერო“ „ახალი დემოკრატიებისთვის“ ერთგვარი „რეაქტიული ტერიტორიებია“: ვირტუალური აუდიო-ვიზუალური ტექსტები, შეკრების ადგილი, არაფორმალური კლუბი (საწევრო გადასახდელი არაა), დღიური თუ „ბრიფინგი“ ჩვენი დროის „ჰაიდ პარკებია“ არა მარტო მოდერნისტ-პოსტმოდერნისტებისთვის, კონსერვატორ-ფუნდამენტალისტებისთვის, მემარცხენე-მემარჯვენე-ცენტრისტებისთვის, არამედ იმათთვისაც, ვისთვისაც გამოხატვის თავისუფლება პროფესიაა ანუ მედიისთვის. ზოგი ჭკვიანურს ამბობს (წერს), ზოგი — ცდილობს, ზოგიც — იდიოტურს. თუმცა ერთიც, მეორეც და მესამეც საინტერნეტო ისტორიას ან მაკულატურას უნდა შეემატოს. ამბობენ რომ ბლოგერების რაოდენობით ირანელებს ვერავინ სჯობნისო. იმასაც კი ამბობენ, ცხვირის პლასტიკური ოპერაციების რაოდენობით თეირანი მსოფლიოს დედაქალაქიაო. არ ვიცი, აქედან რა ჭკვიანური (საბლოგო, ოღონდ ისე, მესამეთა, ანუ იდიოტთა სიაში რომ არ მოვხვდე) დასკვნის გამოტანა შეიძლება. მაგრამ ფაქტია, რომ 90, 50 ან 20 წლის წინათ ინტერნეტს რომ ეარსება, მიახლოებით წარმომიდგენია, თუ როგორ იტრიალებდა მრგვალი დედამიწა.*

*ცოტა გამიგრძელდა ვებ-ბლოგ-ინტერნეტზე საუბარი, ამიტომ პირდაპირ გადავალ მწერალსა და პოეტზე პაატა ქურდაძეზე (www.paatakourdadze.blogspot.com). ოღონდ იგი არც „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნიდანაა და აღარც „რეაქტიული კლუბის“ წევრი. საფრანგეთში აგერ უკვე 18 წელიწადია ცხოვრობს. მთელი ცხოვრება წერს, თუმცა საბჭოთა საქართველოში გამოქვეყნებაზე არც უფიქრია, მაინც არ დამიბეჭდავენო. ხომ ვთქვი, აფსუსია, მაშინ „კომპი“ და „ინეტი“ რომ არ გვქონდა. ამიტომ მისი ტექსტები „უიღბლო“ ქურდის ხელში აღმოჩნდა, როცა პარიზში ჩასვლის წინ მოსკოვში ჩემოდანი მოპარეს, სადაც ყველა მისი ნაწერები იდო. ასე დარჩა პაატა ქურდაძე, როგორც თავად ამბობს, აბსოლუტურად ცარიელი ლიტერატურული წარსულით. საფრანგეთში 1991 წელს ჩავიდა და დარჩა. საქართველო ამ დროს სამოქალაქო ომისთვის ემზადებოდა. ჰყავს ფრანგი მეუღლე და 14 წლის ტყუპი გოგონები. პაატა ქურდაძე მუშაობს ფრანგული ტელეარხებისთვის. იგი დოკუმენტალისტი, სცენარისტი და რეჟისორია. 1999-2000 წლებში თვეში ერთხელ ფრანგულ ტელესივრცეში გადიოდა მისი გადაცემები „ფრანგი ქართველების“ ღონისძიებებზე. სამშობლოში არავინ დაინტერესდა ამ გადაცემებით, თანაც მაშინ ინტერნეტი ასეთი გავრცელებული და სწრაფიც არ იყო.*

*წერს საინტერესოდ, დასამახსოვრებლად, დაუშაქრავად, ხმამაღლა ფიქრობს, აზროვნებს. მის ბლოგზე, მგონი, შეიძლება გაეცნოთ საქართველოს პრეზიდენტის „უცხოური“ წიგნის „მე თქვენ თავისუფლებაზე გესაუბრებით“ ქართული თარგმანის ნაწყვეტებს. წერს მოთხრობებსაც. არც ერთი არ მაქვს წაკითხული, მაგრამ უკვე მაინტერესებს. მალე პარიზში ქართულ-ფრანგულ ენაზე გამოვა მისი ნოველების კრებული სავარაუდო სახელწოდებით „ყველაფერი ვიოლინოს შესახებ“. ადრე ქართული ჟურნალის გამოცემაც უნდოდა, მაგრამ არ გამოუვიდა. რაც შეეხება თავად „რეაქტიულ კლუბს“, ეს მისი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ უკვე წარსული. კლუბს 20 წელი უსრულდება, თითქმის იმდენივე, რამდენიც — მწერლის ემიგრაციას. თუმცა ეს ინტერვიუ არაა „რეაქტიულ კლუბზე“, უფრო სწორად, არა მარტო მასზე და არა იმიტომ, რომ დიუმასდარად „...20 წლის შემდეგ“ არ გვაინტერესებს...*

# პაატა ქურდაძე: ჩვენი „სულიერი მისია“ მესაზღვრეობაა...



— „რეაქტიული კლუბი“ საბჭოთა სიბრიყვის ნაციონალისტურ სიბრიყვედ ტრანსფორმირების პროცესის ეპოქაში შეიქმნა, — ამბობს ბატონი პაატა. — ჩვენ ვგრძნობდით, რომ ერთი საშინელების ადგილს მეორე იჭერდა და ვცდილობდით გარდამავალი პერიოდის ანარქიული თავისუფლებით გვესარგებლა. საქართველო მაშინ სალხინებელს ჰგავდა საბჭოთა ჯოჯოხეთსა და დასავლურ სამოთხეს შორის. სინამდვილეში ბოლომდე არავის სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, ამიტომ სანამ თავიდან ჩაგვკეტდნენ, სულ ახლახანს დროებით განთავისუფლებული პატიმრებივით ღრმად ვსუნთქავდით და მზეს ვეფიცხებოდით.

უნდა გითხრათ, რომ ის, რასაც ჩვენ ვწერდით, დღეს გაცილებით მეტი ცენზურის ქვეშ მოექცეოდა საქართველოში. დღევანდელი ცელმომარჯვებული პატრიოტი და მართლმადიდებელი მორალისტები გაცილებით აგრესიულები მეჩვენებიან, ვიდრე — მაშინდელნი. მით უმეტეს, წითელი ცენზურა უკვე საერთოდ აღარ არსებობდა. თუ გადაიკითხავთ „რეაქტიული კლუბის“ პირველ გამოცემას, ნახავთ რომ მასში საბჭოთა პრობლემატიკა თითქმის არ არსებობს. ჩვენი კლუბი უფრო იმ სიბნელის პირველ ნიშნებს ებრძოდა, რომლებმაც მოგვიანებით და განსაკუთრებით დღეს საქართველოში ღრმად გაიდგეს ფესვები.

**— კლუბი ერთგვარი „შინაგანი ემიგრაცია„ იყო?**

— „რეაქტიული კლუბი“ არ იყო შინაგანი ემიგრაცია, რადგან როგორც აღვნიშნე, ჩვენ საქართველოზე ვწერდით, და სულიერად არსად გაქცევას არ ვაპირებდით. ვთვლიდით, რომ გაფრენა ზრდასრულ დამოუკიდებლობას უფრო ნიშნავს, ვიდრე დამფრთხალ გაქცევას. ეს მოახლოებული ბნელი სურეალისტური ეპოქის წინათგრძნობა იყო, რომელიც, სამწუხაროდ, უფრო მალე ახდა, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგვეძლო. ჩვენ გვინდოდა შეგვექმნა შთაბეჭდილება იმისა, რომ ამ სიბნელესთან მებრძოლნი ბევრნი ვიყავით. ამიტომ ლექსებს სხვადასხვა ფსევდონიმებით ვწერდით. სამივესთვის და პირადად ჩემთვის მთავარი კონცეფცია სწორედ ეს იყო: პოეზია ავტოგრაფის გარეშე.

**— როგორ აღმოჩნდით პარიზში?**

— 1991 წლის შემოდგომაზე კოტე ყუბანეიშვილი და მე სამი თვით პარიზში დაგვპატიჟეს. ემიგრაციაზე განსაკუთრებით არც ერთს არ გვიფიქრია. მე თავს უფრო მოგზაურად ვგრძნობდი, ვიდრე ემიგრანტად. სწორედ ისე, როგორც ევროპელი ახალგაზრდების უმეტესობა, რომლებიც ცხოვრების რაღაც პერიოდში აუცილებლად დაეხეტებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში... სამწუხაროდ, მალე მივხვდი, რომ არც ისეთი ახალგაზრდა ვიყავი, და არც ისეთი „ევროპელი“, როგორიც ჩემი თავი მეგონა... თუმცა ეს სხვა თემაა...

საქართველოდან ჩვენი წამოსვლიდან რამდენიმე კვირაში სამოქალაქო ომად წოდებული მარაზმი დაიწყო, რომელიც რაღაც ფორმით დღემდე გრძელდება. კოტე სამ თვეში თბილისში დაბრუნდა. იქ მას ცოლი, ტყუპები და „რეაქტიული კლუბის“ პირველი წიგნი ელოდებოდა, რომლის გამოცემასაც მის გარდა ვერავინ მოახერხებდა, ვერც ირაკლი და მით უმეტეს — ვერც მე.

წიგნი 1992 წელს გამოვიდა და, რამდენადაც ვიცი, წარმატებითაც. პირველი ინტერვიუ ირაკლიმ რომელიღაც გაზეთს მისცა, ჯერ კიდევ ჩვენი პარიზში ყოფნისას, წიგნის გამოსვლამდე. მე და ჩემმა მეგობრებმა დავწერეთო... თუმცა მეგობრები არ დაუსახელებია. ეს, მგონი, პირველი ინტერვიუ იყო მის ცხოვრებაში. აქედან დაიწყო „რეაქტიული კლუბის„ გრძელი „მედია-ისტორია“. ერთ წელიწადში მეორე გამოცემა გამოვიდა, ორჯერ უფრო დიდი, ვიდრე — პირველი. იქ, გარდა ირაკლისა და კოტეს ძველი და ახალი ლექსებისა, ასევე ჩემი პირველი გამოცემიდან გადმობეჭდილი რამდენიმე ლექსისა, უკვე სხვა ავტორებიც შევიდნენ სხვადასხვა ფსევდონიმებით. თუმცა უკვე ყველამ იცოდა რომ „რეაქტიული კლუბი“ ირაკლი და კოტე იყო. ჩვენი სამეულიდან ერთადერთი მე დავრჩი ანონიმად. ამას წინათ რომელიღაც ფორუმზე წავაწყდი ჩემს ლექსს „სპილოს კომპრომისი“, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ფორუმის მონაწილეებს ირაკლი ჩარკვიანის ჰგონიათ. ეს ჩემთვის სწორედ იმ პირველი კონცეფციის გამარჯვებაა... როდესაც სამივე ანონიმურები ვიყავით.

პრინციპში „რეაქტიული კლუბის“ ანონიმურობის საწყისმა კონცეფციამ ირაკლის პირველივე ინტერვიუს შემდეგ აზრი დაკარგა: ყველა მშვენივრად იცნობდა ავტორებს, ამიტომ მეორე გამოცემაში ახალი ფსევდონიმების გამოყენება დღემდე ზედმეტ ექსტრავაგანტულობად მიმაჩნია. მათ მშვენივრად შეეძლოთ ნამდვილი გვარები დაეწერათ. ახალი ავტორებიც ასე უკვალოდ არ გაქრებოდნენ. თუმცა მე ამ დროს თბილისში აღარ ვცხოვრობდი და მეორე გამოცემაში მონაწილეობა აღარ მიმიღია.




მერე ირაკლი პოპ-ვარსკვლავი გახდა. მე დღემდე ვთვლი, რომ ეს დიდი შეცდომა იყო მისი მხრიდან. მან პოეზიასა და პოპს შორის უფრო ადვილი აირჩია. ჩემი აზრით, ეს მას თავადაც კარგად ესმოდა და ამან შეიწირა კიდეც. ეს მის ბოლო წიგნში კარგად ჩანს. ლოკალური პოპ-ვარსკვლავობა ძალიან ცოტა იყო მისი ამბიციისთვის. მან ამას ძალიან სწრაფად და ადვილად მიაღწია, სამწუხაროდ, გვიან მიხვდა, რომ პოპ-მუსიკა არ იყო ის ფორმა, რომელიც მის მგრძნობელობას სხვებისათვის ხილულს გახდიდა... ლოკალური საზღვრებიდან ის მხოლოდ პოეზიას შეეძლო გაეყვანა და არა — პირველობას ქართულ პოპში. ეს გასვლა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი „რეაქტიული“ ძრავები ორბიტაზე გასვლამდე ჩაქრნენ.

**— სამაგიეროდ, კოტე აღმოჩნდა ალღოიანი . და თანაც ყველაზე ადრე შექმნა საკუთარი ვები, ჯერ კიდევ 5-6 წლის წინათ...**

— ჩემი აზრით, კოტე ყუბანეიშვილმა გაცილებით სწორად გამოიყენა „რეაქტიული კლუბის“ პატარა „ბროშურის“ წერისას მიღებული გამოცდილება: მან ქართული პოპ-პოეზია შექმნა. მე საქართველოში ყოფნისას მის გავლენას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ: რეკლამიდან დანერგული ახალი ქართული პოეზიით დამთავრებული... პოლიტიკურ ენაშიც კი“ (თუმცა ეს უკანასკნელი, სჯობს, კლასიკური დარჩენილიყო). „რეაქტიული კლუბის“ წევრებს შორის პოეზიის ყველაზე ერთგული კოტე ყუბანეიშვილი აღმოჩნდა... და არა მარტო ჩვენს შორის. მე პირადად საქართველოში არ ვიცნობ სხვა პოეტს, მხოლოდ პოეზიით რომ ცხოვრობდეს, და მისი ლაპარაკის მანერა პარლამენტის დეპუტატების მანერას არ მაგონებდეს. კოტე ახლახანს იყო პარიზში. როგორც ყოველთვის, ეხლაც ათასი რამ დავგეგმეთ. თუმცა ჯერჯერობით ერთადერთი, რაც დღემდე ერთობლივად გამოგვივიდა, საბჭოთა საქართველოს აგონიისა და მისივე ფსიქადელიური ეპოქის დასაწყისის ზღვარზე, ირაკლი ჩარკვიანთან ერთად შექმნილი „რეაქტიული კლუბის“ 80 გვერდია.

**— ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ საქართველოში დარჩით. როგორი „რეაქტიულობა“ გექნებოდათ?**

— არ ვიცი. მას შემდეგ 18 წელი გავიდა. იმდენი რამ მოხდა საქართველოსა და ჩემს ცხოვრებაში, რომ ძალიან ძნელია ჩემთვის ვარაუდებით წარსულში მარჩიელობა, თუ როგორ გაგრძელდებოდა ჩემი ცხოვრება.

**— ამას წინათ კონსერვატიული პარტიის ლიდერმა განაცხადა „ჩვენ ვართ ელიტაო“. საქართველოს ისტორიის განმავლობაში ელიტა ფორმაციის ცვლასთან ერთად ხან მეფის კარი, მერმე თავად-აზნაურობა იყო; მერმე რომანტიკოსები, რომლის ადგილი არარომანტიკულმა მწერლობამ ცოტა ხნით მაშინდელ ვაჭართა და ბიზნესმენებთან პარალელურად დაისაკუთრა. მერე ბოლშევიკურ-ინტელიგენტური ელიტა გაჩნდა, მერე ეროვნული, მერე შევარდნაძისეული (თავად-აზნაურობისა და მოგვიანებით მეფის გამოუტირებლობის ფონზე), მერე — პარტიული. არის კი ეს პარტიული ელიტა პოლიტიკური ელიტა? ხომ ვერ გაავლებდით მცირედ პარალელს ფრანგულ და ქართულ ელიტებს შორის? სადაა „ხიდჩატეხილობა“?**

— რატომაც არა? პოლიტიკური ელიტა არც თუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გამოიყენება პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში, მხოლოდ ეს სიტყვა არასოდეს გამიგია პოლიტიკოსისაგან. საერთოდ, „ელიტა“ იმდენად დისკრედიტებულია ქართულ ენაში, რომ პოლიტიკოსი რომ ვყოფილიყავი, არაფრით მას არ გამოვიყენებდი. ეს სიტყვა სარეცხი ფხვნილის ქართულ რეკლამასა და 1990-იანი წლების თბილისის „ელიტარულ“ სახინკლეებსა და აბანოებს უფრო მაგონებს, ვიდრე — სერიოზულ ტერმინს. მარამ პოლიტიკოსებს, მით უმეტეს, ქართველ პოლიტიკოსებს სულ რამდენიმე ასეული სიტყვის მარაგი და კიდევ უფრო ნაკლები გემოვნება აქვს, ამიტომ მათ განსაკუთრებულ ორატორულ ხელოვნებას ვერ მოსთხოვ.

თუმცა, როგორც ვხვდები, საქართველოს მთავარი კონსერვატორი მაღალ საზოგადოებასთან ახლოს ყოფნას გულისხმობდა(?!). ამ შემთხვევაში ვერაფერს ვიტყვი, რადგან ასეთ სოციალურ გაურკვევლობაში მყოფი ფენა ჩემს ინტერესის საგანს განსაკუთრებით არც ერთ ქვეყანაში არ წარმოადგენს. მით უმეტეს საფრანგეთში, სადაც ბევრი ელიტა არსებობს. ისინი სულაც არ არიან ერთმანეთთან აუცილებლად გადაჯაჭვულნი. მაგალითად, პოლიტიკური ელიტა არისტოკრატულ ან არტისტულ ელიტასთან. თუ არ ჩავთვლით ჩვენი — საფრანგეთის ბოლო პრეზიდენტის აშკარა მიდრეკილებებს არტისტულ წრეებთან მეგობრობის, გარკვეულწილად, მისი მეუღლის, მომღერლისა და ყოფილი მოდელის კარლა ბრუნის გამო.

როგორც ვხვდები, საქართველოში სიტყვა „ელიტამ“ რუსული „სვეტსკოე ობშესტვო“ ჩაანაცვლა. მე ვერანაირ პარალელს ვერ გავავლებ ფრანგულ და ქართულ ასეთ „ობშესტვებს“ შორის. საფრანგეთში მსგავსი რამ ლუი XIV -ის დროს რომ იყო, ნამდვილად ვიცი. დღეს ასეთი მგონი არაფერი არ არსებობს, თორემ ერთხელ მაინც მოვკრავდი ყურს. მიუხედავად ამისა, საფრანგეთისა და, განსაკუთრებით, პარიზის რაღაც მითოლოგიურ ელიტაზე არაერთხელ მსმენია ქართველებისა და რუსებისგან. ეტყობა ბავშვობაში წაკითხული დიუმას რომანებიდან გამოსვლა ჯერჯერობით უჭირთ...

მე არა მგონია, რომ დღეს საქართველოში ის ელიტა არსებობდეს, რომელზეც თქვენ მეკითხებით. ასეთი უსაქმურების ელიტა პრინციპში საქართველოში ბიჭვინთის „დომ ტვორჩესტვასთან“ ერთად დაიხურა. მას შემდეგ საქართველოში ხან წვერიანი და მანდილიანი ნაციონალისტები „გასვეტდნენ“, ხან — კალაშნიკოვიანი ბანდიტები, ხან — შევარდნაძის გაიძვერები, ხან კიდევ — ვარდისფერი ნაციონალები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელთა ელიტურ სამოთხეში მოხვედრა უმეტესობისათვის ეფემერულია: ვარდისფერ „ჯეთ სეთში“ ფეხი მყარად სულ რამდენიმემ მოიკიდა და მათაც გამუდმებით ახსოვთ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე. ვინ წარმოიდგენდა სულ რაღაც ერთი წლის წინათ, რომ ანა კარენინასავით რკინიგზის ლიანდაგებზე დაასრულებდა თავის ვარდისფერ პოლიტიკურ კარიერას... თუმცა დარწმუნებული ვარ წინ სხვა გრძელი და მრავალფეროვანი პოლიტიკური კარიერა ელოდება.

**— კეთილი, მაშინ რა განსხვავებაა საბჭოთა ურ და პოსტსაბჭოურ ელიტებს შორის?**

— განსხვავება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ელიტებს შორის არის ის, რომ ამ უკანასკნელებმა ცეცხლითა და მახვილით მოიპოვეს დროებითი ადგილი მითოლოგიურ სოციალურ ოლიმპზე. აკაკი ასათიანი ერთ-ერთი ასეთია, პანდურამოკრული ანგელოზია, თუ გნებავთ ფრთებდამწვარი... ასეთები საქართველოში ბოლო ოცი წლის მანძილზე იმდენი დაგროვდა, რომ პრინციპში ყოველი ასე თუ ისე „თავმოყვარე“ თბილისელი ოდესღაც რომელიღაც ელიტას მაინც მიეკუთვნებოდა. ყოფილი ბიჭვინთის „ჯეთ სეთი“ მათ ირონიით „ახალ ქართველებს“ უწოდებს. არც გაემტყუნება: თვითონ ბევრად უფრო ნამდვილი „მაღალი საზოგადოება“ იყვნენ, რადგან „დომ ტვორჩესტვას“ ნომრები ცეცხლითა და მახვილით თვითონ არ მოუპოვებიათ: ამისათვის მათი არც თუ ისე მცირე ნაწილის მაუზერიანმა და გალიფე შარვლიანმა ბაბუებმა დაღვარეს საკუთარი და კიდევ უფრო მეტი სხვისი სისხლი. მათი ექს-წითელი გაელიტებული შთამომავლები კი „არმანიში“ ჩაჭედილ დღევანდელ ვარდისფრებს „ნოვი გრუზინებს“ ეძახიან... და ავიწყდებათ, რომ თვითონ გაცილებით უარესი, წერა-კითხვის უცოდინარი „ნოვი გრუზინების“ შვილიშვილები არიან.

ჩვენი აბსოლუტურად პროვინციული მიდრეკილება ელიტიზმისაკენ, გრძელი და სევდიანი თემაა. ეს ჩვენი ეროვნული იდენტურობის, ალბათ, ყველაზე მთავარი განმსაზღვრელი დეტალია. მე შეუძლებლად მიმაჩნია ფრანგულ საზოგადოებასთან პარალელების გავლება. შემიძლია მხოლოდ აგიხსნათ, რატომ მიმაჩნია შეუძლებლად, მაგრამ ამას ინტერვიუს ფორმატი ვერ დაიტევს.

**— ქართველების ევროპულობა საფრანგეთში და ქართველის ევროპელობა საქართველოში: ამერიკაში მყოფ ქართველებზე ჩემი მცირედი დაკვირვებით ამერიკის ლიბერალური ღირებულებები (რასაკვირველია, ყველაში არა) მეტ-ნაკლები სიმწვავის „რეაქტიულობას“ აჩენს, როცა ამ ღირებულებებში ცხოვრება (ეკონომიკური, სექსუალური თავისუფლება, ტოლერანტობა) და სარგებლობა პირიქით — უფრო მეტ გაუცხოვებასა და ჩაკეტვას იწვევს. მე ვსაუბრობ, არა კულტურულ შოკზე, რომელიც, წესით, 10 წელზე მეტხანს აქ მყოფთათვის უკვე აღარ უნდა იყოს მტკივნეული, არამედ დამოუკიდებლობას ღია სივრცესა და „სხვისადმი“.**

— მე კი პირიქით, მეჩვენება, რომ ქართველები უკეთ ახერხებენ ინტეგრირებას სხვა ქვეყნებში, ვიდრე ბევრი სხვა, მაგალითად რუსები. საერთოდ არა მგონია ბუნებით ვინმეზე მეტად ჩაკეტილები ვიყოთ. ნებისმიერი ემიგრაციის პირველი თაობა საკუთარი იდენტურობის ავადმყოფურად ერთგული რჩება. მით უმეტეს ეკონომიური ემიგრაცია, ასეთები კი სამშობლოდან გადახვეწილთა 90 პროცენტს წარმოადგენენ. ეკონომიური ემიგრაცია ნიშნავს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გადაადგილებულ ადამიანებს. რამდენადაც ვიცი, ევროპაში და მით უმეტეს ამერიკაში ემიგრირებული ქართველების დიდ ნაწილს სწორედ ასეთები შეადგენენ.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი-პარიზი**

**(დასასრული იქნება)**

ფეხბურთი

# წილი ნაყარია

**ვინა თქვა, საფეხბურთო სეზონი დასრულდაო. მოგეხსენებათ, სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე დასკვნით ფაზაში შევიდა კონფედერაციის თასის გათამაშება, ქართული კლუბები კი მორიგ ბატალიებში 15 ივლისიდან ჩაებმებიან — მათი მომავალი მეტოქეები პოპულარული ევროტურნირების კენჭისყრამ გამოავლინა.**

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე ორრაუნდიან დუელს სლოვენიის „მარიბორთან“ გამართავს.

გაუმართლათ ევროპის ლიგის (ყოფილი უეფას თასი) მონაწილეებს. რუსთავის „ოლიმპმა“, წესით, უპრობლემოდ უნდა გადალახოს ფარერის კუნძულების „ტორსჰავნის“ წინაღობა, ხოლო „ზესტაფონს“ სასტარტო ბრძოლები ჩრდილოეთ ირლანდიის „ლისბურნთან“ მოუწევს.

რაც შეეხება დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის მფლობელს თბილისის „დინამოს“, იგი ტურნირში მეორე წრიდან ჩაებმება და ლატვიის ქალაქ ლიეპაიას „მეტალურგსთან“ გაარკვევს ურთიერთობას.

# აფრიკული ამერიკა

**გაირკვა კონფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალისტთა ვინაობა. დღეს ერთმანეთს უდანაკარგოდ მოთამაშე ევროპის ჩემპიონი ესპანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები შეხვდებიან, ხოლო ხვალ სარბიელზე ასევე ქულათა მაქსიმუმით გამორჩეული ბრაზილია და ტურნირის მასპინძელი სამხრეთ აფრიკა გამოვლენ.**



უძლიერესთა კვარტეტში მოხვედრით განსაკუთრებული სიურპრიზი ამერიკელებმა შემოგვთავაზეს, რომლებმაც ფორუმი ორი დამარცხებით დაიწყეს და ყველას განწირული ეგონა.

იმას, რაც ეგვიპტელებთან გადამწყვეტ მატჩში მოხდა, ძნელად თუ მოეძებნება ახსნა. აფრიკის ორგზის ჩემპიონი, რომელმაც მანამდე დიდებული შთაბეჭდილება დატოვა, საოცრად უსუსურად გამოიყურებოდა და, ნახევარფინალს ვინ ჩივის, ჯგუფში უკანასკნელ ადგილზე გავიდა.

მოკლედ, ყველა სულმოუთქმელად ელის ესპანეთ-ბრაზილიის ფინალს, მაგრამ ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს და ნურც მორიგ სიურპრიზ(ებ)ს გამოვრიცხავთ.

**გიორგი შოთაძე**

ტაეკვანდო

# მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან

**წლეულს ოქტომბერში დანია მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს ტაეკვანდოში, WTF-ის ვერსიით, რომელიც ოლიმპიური სახეობაა. ამ შეჯიბრებისთვის მზადებას მიეძღვნა თბილისის ღია პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

**დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:**

**გოგონები.**

**50 კგ.** 1. ნინო ბერიძე, 2. ქეთევან სიხარულიძე, 3. ნინო ქარუმიძე (ყველა — თბილისი).

**57 კგ.** 1. გიტა ჩერქეზია (თბილისი), 2. რუსუდან კვანტალიანი (წყალტუბო), 3. ანა სიხარულიძე (თბილისი).

**ვაჟები.**

**27 კგ.** 1. რატი მანაგაძე, 2. გურამ ხოხაშვილი, 3. კოსტა ქაქუჩაია (სამივე — თბილისი) და ირაკლი ნადარაია (წყალტუბო).

**31 კგ.** 1. ბექა ქავთარაძე (თბილისი), 2. თორნიკე კინწურაშვილი, 3. გიორგი ჩაკვეტაძე (ორივე — წყალტუბო) და ბადრი პაქსაშვილი (თბილისი).



**35 კგ.** 1. გიორგი ბერაძე (თბილისი), 2. გიორგი კორსანტია (წყალტუბო), 3. კობა სამადაშვილი და თორნიკე ქავთარაძე (ორივე — თბილისი).



**42 კგ.** 1. გიორგი კაკაბაძე (ბათუმი), 2. ზურაბ ბეჟანიშვილი, 3. დიმიტრი ქეშელაშვილი (ორივე — თბილისი) და დათო ბზიკაძე (წყალტუბო).

**48 კგ.** 1. ბექა დოლიძე (თბილისი), 2. გურამ კანდელაკი (წყალტუბო), 3. ლაშა სამადაშვილი (თბილისი).

**60 კგ.** 1. ბექა უმიკაშვილი, 2. გიორგი თოიძე, 3. გოგა გათენაშვილი (სამივე — თბილისი).

**63 კგ.** 1. ნიკა ღურწკაია, 2. ლაშა აბრამიშვილი, 3. გიორგი მურადაშვილი და შალვა ვიბლიანი (ყველა — თბილისი).

**68 კგ.** 1. ნოდარ გოლეთიანი (წყალტუბო), 2. ალექსანდრე გვასალია, 3. მირზა ყვავაძე (ორივე — თბილისი) და გიორგი მაძღარაშვილი (ბათუმი).

ივლისში საქართველოს ნაკრების წევრები უკრაინაში მასპინძლებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, შემდეგ კი თურქეთის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ტაეკვანდოს ფედერაციის გენერალური მდივანი ავთანდილ მიქაძე აჯილდოებს წყალტუბოს გუნდის კაპიტანს რუსუდან კვანტალიანს; ალექსანდრე გვასალიას (მარცხნივ) და ნოდარ გოლეთიანის ფინალური შეხვედრის მომენტი.**
**ავტორის ფოტო.**

ჩოგბურთი

# ავსტრიის ავიახაზების თასზე



**თორმეტი ქვეყნის 150 წარმომადგენელი გამოვიდა ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე, რომელმაც 12 და 14 წლის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა „ავსტრიის ავიახაზების თასზე“.**

თოთხმეტწლიან გოგონებში პირველი ადგილი დაიკავა მაია კაციტაძემ, რომელმაც რუსეთის სახელით იასპარეზა (იგი მშობლებთან ერთად კრასნოდარის მხარეში ცხოვრობს). ფინალში ტრავმის გამო მასთან ასპარეზობა ვერ შეძლო ლიზა ნადიბაიძემ. წყვილებში მთავარი პრიზი თამარ კუტუბიძისა და ნანო ჯანელიძის დუეტის მძლეველ (4:6, 7:5, 6:3) მარიამ გოგელაშვილსა და ნინო უგრელიძეს ხვდათ.

ვაჟებში ერთეულთა თანრიგი მოიგო სანკტ-პეტერბურგელმა გიორგი ჯავახიშვილმა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში ალექსანდრე დავლიანიძე დაამარცხა (1:6, 6:2, 6:3). საგულისხმოა, რომ ჯავახიშვილი თბილისშია დაბადებული. იგი ამ ზაფხულს დედასთან და უმცროს ძმასთან ერთად ისევ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდება საცხოვრებლად და მომავალ შეჯიბრებებში საქართველოს სახელით იასპარეზებს.

წყვილებში დავლიანიძემ რუს ანდრეი რეზნიკთან ერთად ფარხმალი დააყრევინა მერტ ადალანსა (თურქეთი) და მიხეილ სიმონიანს (ისრაელი) — 6:1, 6:1.

თექვსმეტწლიანი გოგონების ტურნირი ბაზილინა მაჩაიძემ მოიგო, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში აჯობა ბარბარე ერისთავს — 6:3, 3:6, 6:3. წყვილებში ანანიტ განჯალიანმა და ნუნე ხაჩატრიანმა იმარჯვეს. ვაჟებში უძლიერესი იყო გიორგი ცივაძე, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში დავით ხუციშვილის სძლია 6:4, 6:2. წყვილებში კი ცივაძე-ხუციშვილის დუეტს არ ჰყავდა ტოლი.

ტურნირის მონაწილეებმა „დინამოს“ კორტებზე გადაინაცვლეს, სადაც „რენე — დათოს თასისთვის“ იბრძოლებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: „ავსტრიის ავიახაზების თასის“ გამარჯვებულები და პრიზიორები ორგანიზატორებთან ერთად.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

წყალბურთი

# ისინი საქართველოსთვის იბრძოლებენ



**საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტის დეპარტამენტმა და საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ წყალბურთის აღორძინება გადაწყვიტეს. საამისოდ უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.** საქართველოს ნაკრებმა ევროპის B ჩემპიონატში თამაშების უფლებაც მოიპოვა. ახალგაზრდა სპორტსმენებს გზის გაკვალვაში 2010 წლის მარტიდან ექსიუგოსლავი წყალბურთელებიც დაეხმარებიან, რომელთა ნატურალიზებაც წლეულს მოხდა: საქართველოს სპორტული ღირსების დაცვის სურვილი გამოთქვეს იოვან პოპოვიჩმა, მარკო კორდიჩმა (ორივე — მონტენეგრო), ვლადიმირ მარკოვიჩმა (სერბეთი), მარკო ელეზმა და მარკო ელაჩამ (ხორვატეთი). სეოკის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა გუშინ ხუთივე წყალბურთელს საქართველოს პასპორტები გადასცა.

**სურათებზე: სეოკის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი საქართველოს პასპორტს გადასცემს ნაკრების დებიუტანტებს; ექსიუგოსლავი წყალბურთელები მასპინძლებთან.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**



თაობა

# „სითი სპორტის“ გამარჯვებული 8 წლისაა



**თბილისის „სითი სპორტის“ საჩოგბურთო კორტებზე დამთავრდა კლუბის ღია პირველობა, რომელშიც 85 მოზარდი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის.** განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ 8 წლის სანდრო ჭადაშვილის წარმატება, რომელიც მეორე წელიწადია, ნინა ერმოლოვას ხელმძღვანელობით ვარჯიშობს და უკვე უფროსებსაც უგებს. „სითი სპორტის“ პირველობაზე მან ორი წლით უფროსებს აჯობა — ზედიზედ დაამარცხა სანდრო მაჩაიძე (4:2, 4:2), ირაკლი სულაბერიძე (4:2, 4:2), ვაჟა შუბლაძე (6:3, 1:6, 7:4) და მთავარ პრიზს დაეუფლა. ერთი თვის წინათ სანდრომ გურამ თოხაძის სახელობის ტურნირიც მოიგო ათწლიანებში. შარშან შეჯიბრებებზე ერთი პირველი, ორი მეორე და ამდენივე მესამე ადგილი დაიკავა. ამჟამად ნორჩი სპორტსმენი „რენე — დათოს თასის“ გათამაშებაში მონაწილეობს.

აქვე „სითი სპორტის“ ტურნირის სხვა გამარჯვებულთა ვინაობასაც გაუწყებთ: 10-წლიანებში — ნატალია სიმონიშვილი, თორმეტწლიანებში — თამარ კუტუბიძე და ლუკა ბუთხუზი, 14-წლიანებში — რუსუდან ბებერაშვილი და ლუკა კაპანაძე, 16-წლიანებში — გვანცა გედენიძე და სანდრო სისაური.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: სანდრო ჭადაშვილი.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ხსოვნა

# თვალსაჩინო მეცნიერი

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ კონსტანტინეს ძე ბურკაძე.



იგი დაიბადა 1931 წლის 10 ივნისს. 1954 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1959 წელს ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამ პერიოდიდან იწყება ვახტანგ ბურკაძის ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევითი მოღვაწეობა. 1973 წელს მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1979 წელს კი პროფესორის წოდება. სხვადასხვა დროს მუშაობდა გორის რაიონის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში აგრონომ-ეკონომისტის თანამდებობაზე, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1959 წლიდან ახლად ჩამოყალიბებულ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ინსტიტუტში: განყოფილების გამგედ, შემდეგ დირექტორის მოადგილედ. 1988 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამის შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტად. 1990 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

აკადემიკოსმა ვახტანგ ბურკაძემ თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც დიდად ერუდირებულმა და ღრმად განსწავლულმა მეცნიერმა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. გამოქვეყნებული ჰქონდა 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ბროშურები და სამეცნიერო სტატიები, რომლებმაც მეცნიერთა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „მიწის ეკონომიკური შეფასება და მისი გამოყენება საქართველოში“, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და დასაბამი მისცა მიწის კადასტრთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლას ჩვენს ქვეყანაში.

ვახტანგ ბურკაძე ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეული იყო სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრად. ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში. აღზრდილი ჰყავდა მრავალი ასპირანტი.

ვ. ბურკაძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ორდენითა და მედლით, მათ შორის ღირსების ორდენით.

დიდი და თვალსაჩინოა ვ. ბურკაძის დამსახურება საქართველოში აგრარული ეკონომიკის მეცნიერული აზრის განვითარებასა და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

აკადემიკოს ვ. ბურკაძის, როგორც თვალსაჩინო მეცნიერის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და აღზრდილების ხსოვნაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია,
აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი

---

უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 78 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი
ვახტანგ ბურკაძე,
რომლის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრების გულში.

ომარ ქეშელაშვილი, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ლეო ჩიქავა, ნოდარ ჭითანავა, ჯემალ მახარაძე, შოთა დარსაველიძე, თამაზ კუნჭულია, რეზო ასათიანი, გიორგი ნიკოლეიშვილი, გიორგი დოლონაძე, ეთერ ძაგანია, ავთანდილ ლაფაჩი, რეზო გოგოხია, რეზო მანველიძე, ნაუმ ტურაბელიძე, პაატა კოღუაშვილი, ბიძინა სარჯველაძე, ზურაბ ელიზბარაშვილი, სულიკო ყამარაული, გუგული ძნელაშვილი, მურთაზ მეჭურჭლიშვილი, ჯამულეთ ბაჟუნაიშვილი, თენგიზ თავიდაშვილი, მაიკო იოზაშვილი.

---

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ვახტანგ ბურკაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, აკადემიკოსი
ვახტანგ ბურკაძე
და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს და მეგობრებს.

---

თამაზ კუნჭულია და თამაზ იმედაძე მწუხარებას გამოთქვამენ აკადემიკოს
ვახტანგ ბურკაძის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, აკადემიკოსი
ვახტანგ
კონსტანტინეს ძე
ბურკაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვახტანგ ბურკაძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სანთელი

# ღირსეული მამულიშვილის ხსოვნას

ქართველ მეცნიერთა რიგებმა დიდი დანაკლისი განიცადეს – 80 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დაბალი ტემპერატურების განყოფილების გამგე 1985-2006 წლებში იური გიორგის ძე მამალაძე.

ი. მამალაძის მიერ მოპოვებულმა შედეგებმა ფართო აღიარება ჰპოვა საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში. მისი გამოკვლევები ძირითადად ეხება კვანტური სითხეების ჰიდროდინამიკას, გრიგალთა დინამიკას ზედენად ჰელიუმში, ზედენადობის ფენომენოლოგიურ თეორიას. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ი. მამალაძის მიერ კვანტურ გრიგალებთან მყარი სხეულების ურთიერთქმედების მექანიზმის დადგენამ, ე. წ. „სუსტი“ ზედენადობის თეორიის შექმნამ.

ფასდაუდებელია ი. მამალაძის დამსახურება ახალგაზრდა ფიზიკოსთა არაერთი თაობის აღზრდაში. მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებისა და ბრწყინვალე ლექციების წყალობით ქართულ მეცნიერებას მრავალი ნიჭიერი მკვლევარი შეემატა. იური მამალაძის მეგობრები და კოლეგები წმინდად შეინახავენ ღირსეული მამულიშვილის ხსოვნას.

ლეილა კიკნაძე, ზურაბ წაქაძე,
გიორგი ხარაძე

---

მონატრება

# შალვა აბესაძე



ანსამბლის ბიჭები ხშირად შენზე მელაპარაკებიან, მიყვებიან ამბებს ლამაზ სიზმრებზე, მეც მესიზმრები, ჩემს ვანოსაც, საბასაც, ნიკასაც, გიორგის, ილიას, ვახტანგს,ზურას, არჩილს, უშენოდ მათ ძალიან უჭირთ.

კონცერტების შემდეგ შენ საფლავზე მივდივართ. ქალბატონო ქეთევან, ბატონო ბადრი, ვიცი, ძალიან გიჭირთ, გული დარდით გაქვთ სავსე, ასეთია წუთისოფელი. ადამიანები საწვალებლად ვართ ამ ქვეყნად მოსული, უნდა გავუძლოთ, ასეთია უფლის ნება. ვიფიქრე, იმ ქვეყნად როგორ მიეფერებიან და ჩაიხუტებენ ამ პატარა სალამურა ბიჭს, ჩემი ხელით გავუმზადე სალამურები და საფლავში ჩავატანე.

გაივლის წლები, საუკუნენი, ნახავენ სალამურს პატარა ბიჭთან, ატირდებიან, ჭიქას აწევენ, მერეც დაწერენ ლექსებს, თქმულებებს, უკვდავსაყოფად ძეგლს დაუდგამენ.

ვიცი, ჩემი მოსწავლეები შალვას არასოდეს დაივიწყებენ.

ქ.თბილისის 24-ე საჯარო სკოლა, ბავშვთა ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი „კელაპტარი“, ნუკრი კელაპტრიშვილი.

---

ჯუმბერ მაღლაფერიძე და გურამ გოგიაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ანასტასია დიმიტრის ასული გაბელაია-შონია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მანანა, შვილები გიორგი, სოფიკო, ზურაბი, შვილიშვილები, ძმა გურამ მირცხულავა ოჯახით, სიძე დავით ნინუა, რძალი თეონა კირკიტაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ირაკლი ილიას ძე მირცხულავა
პანაშვიდი 24 VI, 17 სთ. დაკრძალვა 25 VI, 15 სთ. მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის 35 ბ, III სადარბაზო.

---

ავთანდილ წერეთელი, ნანა ხუნდაძე, გოგი მერაბიშვილი, ჩიტო ხუნდაძე, გივი ჯაფარიძე, ლალი ჩხეიძე თანაგრძნობას უცხადებენ მაია ბოკუჩავას მამის
ვასილ ბოკუჩავას
გარდაცვალების გამო.

---

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის თანამშრომელს ნუნუ ბუღაძეს მამის
ემელიანე ბუღაძის
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მაია წურწუმია, შვილები ნიკა, სერგი წიკლაურები, სიდედრი მერი აბრამია, ცოლისძმები თამაზ, ბესიკ წურწუმიები ოჯახებით, ცოლის დეიდა კლარა აბრამია, ნელი, ნანა, გია აბრამიები იუწყებიან
სერგი წიკლაურის
გარდაცვალებას (დაკრძალვა მოსკოვშიძ.

---

მამია სულაბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჭეშმარიტი მამულიშვილის, მეგობრებსა და ახლობლებზე უზომოდ შეყვარებული, დიდი ოჯახის თავკაცის, ღირსეული მეუღლის, მამისა და ბაბუის
ტარიელ ბენდუქიძის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ძმებს ფრიდონს და ავთანდილს და ყველა ახლობელს.

---

შპს „მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური ცენტრის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გიორგი ბენდუქიძეს ბიძის
ტარიელ ბენდუქიძის
გარდაცვალების გამო.

---

შპს „თი-ჯი-აი“-ს კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
ტარიელ ბენდუქიძის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ძმას ავთანდილ ბენდუქიძეს.

---

ნათელა შარაბიძე, მზია ვეკუა, საიდა აბრამიძე და ლამარა ჯიქია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი
გულიკო ნიჟარაძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ამირან მექვაბიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ლია და ზურაბ წიქარიშვილებს დედის
თინა ქართველიშვილი-წიქარიშვილის
გარდაცვალების გამო.

---

2009 წლის 16 ივნისიდან მიმდინარეობს შპს „აი-ეს-კონსალტინგის“ ლიკვიდაციის პროცესი. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: საბურთალოს ქ. №63, ბ. 90. ტელეფონი: 8(99ძ313387.

## მილოცვა

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი გულითადად ვულოცავთ საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის გენერალურ დირექტორს, ღვაწლმოსილ მეცნიერს, პროფ. თენგიზ ცერცვაძეს და ცენტრის მთელ კოლექტივს დიდ საერთაშორისო აღიარების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ Dr.LEE Jong-wook-ის მემორიალური პრემიის მინიჭებას.

ეს იმ დიდი ღვაწლის აღიარებაა, რომელიც ბატონ თენგიზს და მის კოლექტივს მიუძღვის ჩვენი დროის ამ უმძიმესი პათოლოგიის პროფილაქტიკასა და მკურნალობაში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კვლავ დიდ წარმატებებს საქართველოში ამ მძიმე ტვირთის ღირსეულად ტარების საქმეში.

ღრმა პატივისცემით
**პალიკო კინტრაია,**
პროფესორი

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: 2001 წლიდან ვიღებ ასაკით პენსიას, მაქვს 37 წლის შრომის სტაჟი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ჩემი პირობების მქონე ქალს, პენსია რა ოდენობით უნდა მეძლეოდეს?**

**ანა მიქაძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით თქვენი პენსიის ძირითადი ოდენობა უნდა იყოს 75 ლარი. აღნიშნულ თანხას დამატებული უნდა ჰქონდეს 10 ლარი (25 წელზე მეტი მუშაობის სტაჟისთვისძ და მიმდინარე წლის 1 იანვრიდან, პენსია თვეში 85 ლარის ოდენობით უნდა გეძლეოდეთ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქ. №19.**

## კადრი



## დედამიწის რეკორდები

# ყველაზე, ყველაზე, ყველაზე... დიდი...

### ყველაზე ნესტიანი ადგილი



**პატარა ქალაქი ინდოეთში ჩერაპუნჯი – ყველაზე წვიმიანი ადგილია დედამიწაზე. ნალექების საშუალო წლიური ნორმა აქ 11777 მილიმეტრია. „რეკორდულად“ კი ითვლება 1869 წლის აგვისტოდან 1819 წლის აგვისტომდე, მაშინ აქ „ჩამოიქცა“ 22 987 მილიმეტრი ნალექი.**

ინდოეთისთვის მეტოქეობის გაწევა შეუძლია მხოლოდ ჰავაის კუნძულებს. კუნძულ კაუაის შიგ ცენტრში არის მთა ვაია ლეალე. იქ პრაქტიკულად მუდამ წვიმს და წელიწადში 11 970 მმ ნალექია. მთის მწვერვალზე არაფერი არ იზრდება – მცენარეები აქ უბრალოდ ლპება. სამაგიეროდ, გარშემო ყველაფერი გადამწვანებულია.

### ყველაზე დიდი ჭაობი

**ოფიციალური ვერსიით, პლანეტაზე ყველაზე დიდი ჭაობია მორიკამბი ბეია.** ის ინგლისში მდებარეობს. თუმცა რუსებს მიაჩნიათ, რომ თუ კი მოხერხდება და გაზომავენ ჭაობებს კამჩატკაზე ან დასავლეთ ციმბირში, მაშინ მორიკამბი წამში დაკარგავს თავის სტატუსს.

### ყველაზე თოვლიანი ადგილი



**ყველაზე დიდი თოვლი აღირიცხა ბეიკერის მთაზე, რომელიც ვაშინგტონის შტატშია (აშშძ. 1998-1999 წლის ზამთარში ეს მთა დაიფარა 29-მეტრიანი თოვლის ფენით.**

ყინულის ყველაზე სქელი ფენით – 4,8 კილომეტრი – დაფარულია ვილკესის მიწა ანტარქტიკაში.

### ყველაზე მოკლე მდინარე

**აშშ-ში ერთბაშად ორი ასეთი მდინარეა, ყველაზე მოკლეზე რომ აქვს პრეტენზია.**

ესაა მდინარე დი, ორეგონის შტატში და მდინარე რო, მონტანის შტატში. ისინი თითქმის ერთნაირები არიან. მაგრამ ოფიციალური ვერსიით ჩემპიონად ითვლება რო, რომლის სიგრძე მხოლოდ 61 მეტრია.

### ყველაზე ქარიანი ადგილი

**ქარის მაქსიმალური სიჩქარე, რაც ოდესმე გაუზომიათ დედამიწაზე, არის 103,3 მეტრი წამში (327 კმ-საათშიძ.** ეს რეკორდი დაფიქსირდა 1934 წლის 12 აპრილს გრიგალის დროს, შტატის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ვაშინგტონის მთას რომ გადაუარა. მას შემდეგ ეს მთა თავისი ცვალებადი ამინდით მიჩნეულია ყველაზე ქარიან ადგილად დედამიწაზე.

### ყველაზე დაბალი ადგილი

**ყველაზე დაბალი ადგილი დედამიწაზე მკვდარი ზღვაა. ის მდებარეობს მსოფლიო ოკეანის დონიდან 400 მეტრით დაბლა.**

ეს ზღვა ნამდვილად „მკვდარია“. მის წყალში ვერ იარსებებს ვერც ერთი ცოცხალი ორგანიზმი, ვინაიდან მარილების კონცენტრაცია ამ წყალში აღწევს 340 გრამს ლიტრზე.

ამასთან, მკვდარ ზღვას აქვს უნიკალური სამკურნალო თვისებები, როგორიცაა წყალში გახსნილი უამრავი მინერალი, სამკურნალო ჟანგბადი, ბრომის ორთქლი ჰაერში, უჩვეულო ტალახი ფსკერზე, გოგირდის ცხელი წყაროები.

აქ მზის სხივებიც კურნავს. გადის რა ბუნებრივ ფილტრში – დამატებით 400 მეტრ ჰაერში, მზის სხივები არ წვავენ.

### ყველაზე მაღალი ჩანჩქერი

**სამხრეთ ამერიკაში, ვენესუელის მთიან რაიონში, მდინარე კარაოზე არის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი. მას ჰქვია ანხელი, ან ანხელის სალტო. მისი წყალი თავისუფლად ეცემა ძირს 979 მეტრის სიმაღლიდან.**

ჩანჩქერებამდე მისვლა ადვილი როდია, ვინაიდან იმალება გაუვალ ტროპიკულ ტყეში, მისკენ არც ერთი გზა არ მიდის. ამიტომაც იქ ტურისტები ვერ მიდიან, მსოფლიოში ცნობილ ჩანჩქერ ვიქტორიასთან განსხვავებით, ის ხომ „მხოლოდ“ 128 მეტრიდან ეცემა ძირს.

### ყველაზე მლაშე და თბილი ზღვა



**პლანეტაზე ყველაზე თბილი ზღვაა წითელი ზღვა. მისი ტემპერატურა მერყეობს 20-დან 32 გრადუსამდე ცელსიუსით.**

წითელი ზღვა ამავე დროს არის ყველაზე მარილიანიც – 41 წილი მარილი 1000 წილ წყალზე.

### ყველაზე პატარა კუნძული

**ყველაზე პატარად მსოფლიოში მიიჩნევენ დიდი ბრიტანეთის დასავლეთით მდებარე კუნძულ ბიშოპს, თუმცა მას კუნძული კი არა, კლდეც შეიძლება ვუწოდოთ.**

1847 წელს აქ სცადეს შუქურას აშენება, მაგრამ სანამ მშენებლობას დაამთავრებდნენ, ის წყალმა წალეკა.

მისი აგების ცდა გაიმეორეს 1858 წელს. ახალი, 45 მეტრის სიმაღლის შუქურა დღემდე შემორჩა. ის ერთადერთი ნაგებობაა, კუნძულზე რომ დაეტია.

### ყველაზე დიდი კაკალი

**ის სეიშელის კუნძულზე იზრდება. მის შესახებ ევროპაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შეიტყვეს, სეიშელის აღმოჩენამდე.**

დრო და დრო ზღვის დინებას ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე გამოჰქონდა უზარმაზარი, 10-დან 25 კილოგრამამდე წონის „ცოდვილი“ ფორმის კაკლები. მიაჩნდათ, რომ მათ მაგიური ძალა ჰქონდათ.

### ყველაზე დიდი ყვავილი

**ინდონეზიაში იზრდება ყველაზე დიდი ყვავილი – პარაზიტი – არნოლდის რაფლეზია. ის 11 კილოგრამამდე იწონის, დიამეტრი კი 1 მეტრი აქვს.**

რაფლეზიის სხეული შედგება სოკოსებური ძაფებისგან. მათ არც ფესვები აქვთ, არც ღერო, არც ფოთლები. მათი სიცოცხლე მთლიანად დამოკიდებულია „სპონსორზე“, რომელიც მას საკვებსაც აძლევს და ფიზიკურ დასაყრდენსაც.

თავიდან „სპონსორის“ ფესვებზე ან ღეროზე ჩნდება პატარა კვირტი – 21 თვეში ის იზრდება კომბოსტოს თავის ზომისა. შემდეგ ხდება „აფეთქება“ და ჩნდება ეგზოტიკური სილამაზის ნიმუში, სწორედ ესაა რაფლეზია.

### ყველაზე დიდი არქიპელაგი

**ინდონეზია – ყველაზე დიდი არქიპელაგია დედამიწაზე. ის შედგება 17508 დიდი და მცირე კუნძულებისგან.**

### დედამიწის ყველაზე ხელუხლებელი ადგილი

**ის ავსტრალიის დასავლეთშია – ჯეკ ჰილსის მთიანი მასივი.** სწორედ აქ მეცნიერებმა აღმოაჩინეს ცირკონის უძველესი საბადოები, გამოიკვლიეს და მივიდნენ სენსაციურ დასკვნამდე – სიცოცხლე დედამიწაზე ჩაისახა 750 მილიონი წლით უფრო ადრე, ვიდრე ეს დღესაა მიჩნეული.

**უცხოური პრესის მიხედვით**



SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.